## სკოლა თაობა 2024-2025 სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

### შესავალი

ჩვენ გვჯერა იდეის, რომ მოსწავლე არის განვითარების სუბიექტი, ჩვენი სკოლის მისია, ხედვა ამოდის ამ პარადიგმიდან. სკოლის მიზნებიც მიზნების შესაბამისი ამოცანებიც, მათი შესრულებისთვის საჭირო აქტივობებიც სწორედ მოსწავლის როგორც განვითარების სუბიექტის იდეის შინაარსის გააზრება-გათავისებას და ფრთაშესხმას ცდილობს.

სამოქმედო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სკოლა თაობის სტრატეგიული მიზნებისკენ მიმავალ ყოველწლიურ გეგმას, რომელიც მოიცავს მიზნების და ამოცანების შესრულების კონკრეტულ **აქტივობებს,** ინდიკატორებს, განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს.

სამოქემდო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არის სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. მონაცემების შეგროვება, ანალიზი, რეფლექსია და რევიზია ემსახურება მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას პროგრამის, გარემოს, მასალების და ინტერვენციების მართვის გზით.

სკოლაში განხორციელდა სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ესე იგი შეგროვდა მონაცემები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. მონაცემების შეგროვების შემდეგ განხორციელდა გეგმის შეფასება, რაც გულისხმობს შეგროვებული ინფორმაციის შინაარსობრივ ანალიზს. რომლითაც დადგინდა აქტივობები რომლებიც შესრულდა, რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს. ასევე გაანალიზდა შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები. ამ პროცესების გავლის შედეგად შეიქმნა წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

### თავი I მოსწავლეთა სოციალიზაცია და ინდივიდუალიზმის, დამოუკიდებლობის ხელშეწყობა (სუბიექტივიზაცია).

| **ამოცანა : ექსტრაკურიკულური აქტივობები (პროექტები, ღონისძიებები....) უზრუნველყოფს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას, მათ სოციალიზაციას და განვითარებას.** | | | |
|---|---|---|---|
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| სასკოლო პროექტების განხორციელება. | სკოლაში განხორციელებულია არანაკლებ 4 პროექტი, რომელიც მიემართება სკოლის მისიის და ხედვის რეალიზებას და ითვალისწინებს მოსწავლეების ინტერესებს, აქტიურ მონაწილეობას, უნარების | სასკოლო პროექტების დაგეგმვა/განხირციელებისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს მოსწავლეების/სკოლის საჭიროებები, შესაძლებლობები? | მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები; მონაწილეობა; ჩართულობა: თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა; |

| | | | |
|---|---|---|---|
| | განვითარების ხელშეწყობას, სოციალიზაციას, ინდივიდუალობის გამოვლენას. | | |

სასკოლო პროექტებზე მუშაობისას სკოლა ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმებს:

- ❖ პროექტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები;
- ❖ პროექტები იგეგმება მოსწავლეთა ჩართულობით;
- ❖ პროექტის განხორციელება იძლევა მოსწავლეთა თანაბრად ჩართვის შესაძლებლობას;
- ❖ პროექტები ორიენტირებულია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;
- ❖ პროექტი ორიენტირებულია სამიზნე ცნების/ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე;
- ❖ პროექტი ხელს ეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;
- ❖ პროექტი გამოკვეთს ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;
- ❖ პროექტი ითვალისწინებს სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები,მოსწავლეთა თვითმმართველობა, სკოლის კლუბები) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;
- ❖ პროექტი ავითარებს თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;

სკოლა აანალიზებს მოსწავლეების როგორც აკადემიურ ასევე სოციო-კულტურულ გამოწვევებს და აღნიშნულის საფუძველზე აქტიური თანამშრომლობით გეგმავს/ახორციელებს საჭიროების შესაბამის <u>საერთო პროექტებს</u>. საერთო მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების ქუდის ქვეშ კი მოინიშნება მრავალი აქტივობა რომელიც მიემართება პროექტის ამოცანებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტების საერთო დიდი მიზნისკენ მიმართვას და ასევე სასკოლო საზოგადოების ერთიან/გუნდურ მოქმედებას. (ვინაიდან ამოცანები და მიზნები საერთოა).

სწორედ აღნიშნულ პარადიგმაში და შესაბამისი კრიტერიუმების დაცვით დაიგეგმა და განხორციელდა სკოლის საახალწლო სოციალური პროექტი „არა სიღარიბეს'', რომლის მიზანი იყო სკოლის მოსწავლეებში, სიღარიბის კონტექსტზე ცოდნის ამაღლება, ემოციური და ქცევითი დამოკიდებულებების განვითარების ხელშეწყობა. პროექტი შედგებოდა განგრძობითი აქტივობების სერიისაგან და მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს: მოსწავლეების მიერ ხელოვნების წრის ეგიდით ხელნაკეთი ნივთების, სხვადასხვა ფერწერული ნიმუშების და სხვა სახვით ხელოვნებასთან (ხატვა, ძერწვა და ა.შ) დაკავშირებული ნამუშევრების შექმნა. პარალელურად ხდებოდა სოციალურად დაუცველი/შეჭირვებული ოჯახების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა და ანალიზი (ვის რა ტიპის დახმარება სჭირდებოდა...). პროექტის მსვლელობის მეორე ეტაპზე მოხდა მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრების რეალიზება (ერთ-ერთ სავაჭორ ცენტრში). პროექტის მსველობის მესამე ეტაპზე შევიძინეთ საჭიროების შესაბამისი ნივთები, პროდუქტები, ასევე სკოლაში მშობლებს, მოსწავლეებს მოჰქონდათ სხვადასხვა ნივთი (სათამაშო, ტანსაცმელი და ა.შ). პროექტის რეალიზების ბოლო ეტაპზე კი მოხდა შერჩეულ მისამართებზე მოქალაქეებთან გასვლა და ნივთების, სურსათის და ა.შ გადაცემა.

აღსანიშნავია სკოლაში განხორციელებული პროექტი „ ვკითხულობ, ვფიქრობ, ვმოქმედებ'', რომლის მიზანი იყო მოსწავლეებში ქართული და ევროპული ღირებულებების მნიშვნელობის გააზრება და დაკავშირება, აქტიური მოქალაქეობრივი ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა, ეროვნული და საერთაშორისო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად გამოკვეთილი ამოცანები იყო: საგანმანათლებლო, ინტერაქტიული, შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზება და განხორციელება. მოსწავლეებში გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურების უზრუნველყოფა.

აღნიშნული მიზნის და ამოცანების ქუდის ქვეშ მთელი მეორე სემესტრის განმავლობაში სკოლაში განხორციელდა მრავალი აქტივობა, თან აღსანიშნავია, რომ ეს აქტივობები იყო სხვადასხვა ფორმატის და ხასიათის რაც მოსწავლეებს აძლევდა ინტერესების და მზაობის შესაბამისად ჩართვის/აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. ასე მაგალითად ამოცანების ქუდის ქვეშ განხორციელდა აქტივობები:

- ვიდეორგოლი ,,იცოდი თუ არა რომ...“ სოციალურ სამართლიანობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;
- აქტივობა ,,ვინ ვარ მე“ თამაშში წარმოდგენილი იყო 8-ზე მეტი სოციალური როლი (მშრომელი ადამიანი, მარტოხელა დედა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ა.შ) . ბავშვებმა შეძლეს ფაქტობრივი და ღირებულებებით დატვირთული კითხვების დასმა.
- აქტივობა,,პრივილიგებურის გზა“მოსწავლეების რეაქციები კონკრეტულ კითხვებზე ასახავს პირად გამოცდილებას სოციალურ უთანასწორობის შესახებ. აქტივობის შემდეგ მოსწავლეების მიერ გამოხატული მოსაზრებები მიანიშნებს თუ რამდენად გააცნობიერეს პრივილეგებურის იდეა. დისკუსიის დროს გამოვლენილი აზრები და ემოციები მიუთითებს მოსწავლეებში თანაგრძნობის, სოლიდარობის და პიროვნული პასუხისმგებლობის არსებობაზე.
- ვიდეორგოლი ,,მითია თუ რეალობა?“ ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (ქალთა მიმართ სტერეოტიპების დამარცხებისთვის);
- მშრომელთა უფლებების დაცვის დღეზე ვიდეორგოლი და მისალოცი ბარათების მშრომელი მოქალაქეებისთვის გადაცემა;
- აქტივობები რა? სად? როდის? ევროპის და საქართველოს თემატიკაზე;
- დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მრავალი აქტივობა - ვიდეორგოლი, საქართველოს კედელი(სადაც მოსწვლეები თავის განცდებს, ემოციებს აღწერდნენ საქართველოზე) დამოუკიდებლობის გზა და ა.შ

სკოლაში განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების კვირეული'' რომლის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია სასკოლო საზოგადოებაში. ამოცანები : ფიზიკური აქტივობის, ჯანსაღი კვებისა და კვებითი უსაფრთხოების შესახებ სასკოლო საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება; გარდატეხის ასაკთან დაკავშირებული საკითხების გააზრება ფსიქოლოგისა და ბიოლოგიის მასწავლებლის ჩართულობით; სპორტული აქტივობების, როგორც ჯანსაღი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტის გააზრება; ადიქციის უარყოფითი მხარეების იდენტიფიცირება და მის შედეგებზე მსჯელობა . საკუთარი, როგორც თანატოლ-განმანათლებლის, როლის გააზრება ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის კუთხით.

აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა: ჯანსაღი ულუფები; პანელური დისკუსია გარდატეხის ასაკზე; ფილმის ჩვენება და დისკუსია ადიქციის საკითხზე და ა.შ.

სკოლაში განხორციელდა პროექტი - მოსწავლეებმა დადგეს ინგლისურ ენაზე სპექტაკლი „ყელსაბამი“ (გი დე მოპასანის მოთხრობის მიხედვით), პროექტის განხორციელება შედგებოდა ორი ბლოკისაგან პირველი მიემართებოდა რეპეტიციებს (რომლის დამსახურებით მოსწავლეებმა განივითარეს ინგლისური ენის ცოდნა და კომუნიკაციის, თანამშრომლების უნარები) და მეორე ბლოკი იყო უშუალოდ სპექტაკლი რომელიც განხორციელდა მუსიკასთან ინტეგრირებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელებული პროექტების დადებითი შედეგებია:

- ✓ მოსწავლეებმა გაიაქტიურეს ფუნქციურ უნარები (შემოქმედებითობა; კომუნიკაცია; თანამშრომლობა; მოქალაქეობა; კრიტიკული აზროვნება; ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა);
- ✓ ხელს შეეწყო მოსწავლეთა მიერ საკუთარი თავის საზოგადოების წევრებად აღქმას და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას;
- ✓ მოსწავლეებში (ზოგაგად სასკოლო საზოგადოებაში) ამაღლდა თანამედროვე სამყაროს საკვანძო თემებისადმი ცნობიერება (სოციალური თანასწორობა, სამართლიანობა, მშრომელთა უფლებები და ა.შ);
- ✓ ვინაიდან პროექტები დაუკავშირდა მოსწალეთა შესაძლებლობებს და საჭიროებებს, აღნიშნულმა აამაღლა მოსწავლეთა მოტივაცია უშუალოდ სწავლისადმი- სწავლა-სწავლება მეტად ინტერესიანი კონტექსტების/შინაარსის მატარებელია, შესაბამისად მოსწავლეებმა სიღრმისეულად გაიაზრეს სამიზნე ცნებები (დემოკრატია, საზოგადოება, მონაწილეობა, მდგრადი განვითარება, სახვითი ენა, ჟანრი, კომპოზიცია, მოსახლეობა და ეკონომიკა და ა.შ);

- ✓ ხელს შეეწყო სასკოლო კულტურის განვითარებას ( მეტი ურთიერთანამშრომლობა, ჰორიზონტალური ურთიერთობა, „ჩვენ'' პარადიგმის რეალიზება);
- ✓ სოციალურ ქსელებში ინფორმაციის/კონტენტის განთავსებით გაიზარდა სკოლის დადებითი იმიჯი და ამაღლდა ცნობადობა.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება. | მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელებულია არანაკლებ 2 პროექტი.<br>მოსწავლეთა კმაყოფილება მზარდია. | სკოლა ხელს იწყობს მოსწავლეებში სწავლა-სწავლების ქცევითი განზომილების განვითარებას? | შემოქმედებითობა. ლიდერობა. ავტონომიურობა |

2024-2025 წელს სკოლაში დაინერგა მიდგომა რომ სკოლაში ერთობლივად იგეგმება <u>საერთო პროექტები.</u> საერთო მთელი წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტების ქუდის ქვეშ კი მოინიშნება მრავალი აქტივობა რომელიც მიემართება პროექტის ამოცანებს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროექტების საერთო დიდი მიზნისკენ მიმართვას და ასევე სასკოლო საზოგადოების ერთიან/გუნდურ მოქმედებას. (ვინაიდან ამოცანები და მიზნები საერთოა). შესაბამისად სკოლაში ზემოაღნიშნული პროექტები განხორციელდა საერთო ჩართულობით. მეტიც, პროექტის ძირითადი წარმმართველები იყვნენ სკოლის მოსწავლეები (ძირითადად მე10 და მე11 კლასები). ასე მაგალითად პროექტების ქუდის ქვეშ აქტივობების (ვიდეორგოლების შექმნა; დისკუსიების ორგანიზება; გამოფენის ორგანიზება და ა.შ) განხორციელება ხდებოდა მოსწავლეების მიერ, სკოლის PR მენეჯერთან, ხარისხის ჯგუფთან და მასწავლებლებთან აქტიური თანამშრომლობით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2024-2025 სასწავლო წელს მოსწავლეთა ინიციატივით განხორციელდა პროექტები რამაც გაზარდა მოსწავლეთა როგორც კმაყოფილება ასე ჩართულობის ხარისხი. სკოლა მეტად აქცია ერთიან გუნდად, რომელსაც საერთო ამოცანები აქვს და საინტერესო კონტექსტებში გააააქტიურა მოსწავლეებში ფუნქციური უნარები (შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ნებისყოფა, მოქალაქეობა) ასევე წაახალისა მათი ლიდერობა და ავტონომიურობა. აღნიშნულ დადებით გამოცდილებაზე დაყრდნობით, სკოლაში (ზაფხულში) იგეგმება მოსწავლეებისთვის საზაფხულო აქტივობის შეთავაზება (სამუშაო ჯგუფის ფორმატში), რათა მოსწავლეთა ჯგუფმა (სავარაუდოდ 6 მოსწავლე) იმუშაოს 2025-2026 სასწავლო წლისთვის პროექტების დაგეგმავაზე.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| სკოლის გასვლითი ღონისძიებების, მცირე და დიდი ექსკურსების/ექსპედიციების დაგეგმვა განხორციელება. | სკოლის ღონისძიებები, ექსკურსიები დაგეგმილია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინებთ. მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. | რამდენად მიზნობრივად და რა ინტენსივობით ხორციელდება სკოლაში ღონისძიებები, ექსკურსიები? | მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები. |

2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგა წარმატებული პრაქტიკა, კერძოდ შეიქმნა მოლაშქრეთა კლუბი, რომლის მიზანი და ამოცანებია ხელი შეუწყოს სასკოლო და სასწავლო პროცესების გამრავალფეროვნებას; გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა კლასგარეშე აქტივობებში ;ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობის, გუნდურობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას ;ხელი შეუწყოს ბუნებისდაცვითი და ეკომეგობრული ცნობიერების ამაღლებას; წაახალისოს მოსწავლეებში ფიზიკური აქტივობები და განავითაროს ფიზიკური გამძლეობა.

აღნიშნული ამოცანების უზრუნველსაყოფად 2024-2025 სასწავლო წელს დაიგეგმა და განხორციელდა 2 ლაშქრობა. კერძოდ: მტირალას ეროვნულ პარკში და მაჭახლის ეროვნულ პარკში. აღსანიშნავია მოსწავლეთა დაინტერესების, ჩართულობის და მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი.

2024-2025 სასწავლო წელს ასევე განხორციელდა სხვადასხვა ექსკურსია როგორც დაწყებითი ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. რომელმაც ასევე დადებითი როლი ითამაშა მოსწავლეების სოციალიზაციასა და ფუნქციური უნარების გააქტიურებაში.

**ამოცანა : სკოლის ფსიქოლოგის საქმიანობა ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებაში „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების" კუთხით ცნობიერების ამაღლებას.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| გზამკვლევის მომზადება ბავშვთა განვითარებაზე და შვილთან ეფექტურ კომუნიკაციაზე და სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარება | მომზადებული და გაზიარებულია გზამკვლევი. | სასკოლო საზოგადოებას აქვს ცოდნა ბავშვთა და მოზარდთა განვითარების პროცესის/სპეციფიკის შესახებ? | განვითარების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო-ემოციური) ფსიქოლოგია. |

აქტივობის მეტად ჯეროვანი შესრულებისთვის, პირველ ეტაპზე გადაწყდა მოსწავლეთა/კლასის სოციო-ემოციურ, კოგნიტურ საჭიროებების გამოწვევების და წარმატების იდენტიფიცირება სკოლის ყოველდღიურ პროცესებზე (საგაკვეთილო, ექსტრაკურიკულური და ა.შ) უშუალო დაკვირვებით. ხოლო <u>სემესტრში ორჯერ (ოქტომბრის ბოლო, დეკემბრის ბოლო. მარტის დასაწყისი, ივნისის დასაწყისი)</u> განხორციელებული აქტივობების მტკიცებულებების შესწავლით კერძოდ: მასწავლებლის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის- სასწავლო გარემოს, მეთოდების, შეფასების, რესურსების, შინაარსის ანალიზით თუ რამდენად უზრუნველყოფს ეს მოსწავლეთა სოციო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას.

ასევე პროექტებით განხორციელებული აქტივობების ანალიზით კერძოდ რამდენად უზრუნველყოფს პროექტების აქტივობა მოსწავლეთა ჩართულობას მათ სოციო-ემოციურ განვითარებას.

საკვანძო შეკითხვებზე*: რამდენად ვალიდური იყო პროცესი (განხორციელებული საქმიანობა/აქტივობა რამდენად უზრუნველყოფდა მოსწავლეების სოციო-ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას? რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამ მიმართულებით პროცესის წარმატება თუ წარუმატებლობა?*

2024-2025 სასწავლო წელი დაეთმო აღნიშნული მიმართულებით და ზემოაღნიშნული მექანიზმებით საკითხის კვლევას, რომლის საფუძველზეც 2025-2025 სასწავლო წელს მომზადდება გზამკვლევები და ჩატარდება შესაბამისი სწავლებები მოზარდთა განვითარების (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო-ემოციური) მიმართულებით.

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| კონსულტციები მოსწავლეებს, მშობლებს, მასწავლებლებს, დამირგებლებს. | ჩატარებულია კონსულტაციები. | სკოლაში ხელშეწყობილია თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობის, პასუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე ზრუნვა? | მხარდაჭერა. ზრუნვა. მენტალური ჯანმრთელობა. |

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სკოლის პროცესების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი საჭიროების ანალიზის ასევე მასწავლებელთა,მოსწავლეთა თუ მშობლების მომართვის შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებთან(მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები) ინდივიდუალური თუ ჯგუფური შეხვედრები/კონსულტაციები. შეხვედრაზე აქტიური თანამშრომლობის და დისკუსიის ფორმატში მხარდაჭერის მიზნით ხორციელდებოდა რეკომენდაციების მიცემა, კონსულტირება. საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება.

სკოლაში 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრში დაიგეგმა და განხორციელდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის აქტივობების სერია, სადაც მთავარ რესურსად (კონტექსტად) გამოყენებული იყო სერიალი „მოზარდობა'' ერთობლივად ნახვა და შემდგომი დისკუსია სერიალში წამოჭრილ იმ

| | | | |
|---|---|---|---|
| საკითხებზე რაც ასევე მიემართება სკოლაში არსებულ ფრაგმენტულ თუმცა მაინც არსებულ გამოწვევებს. აღნიშნულ აქტივობებს ჰქონდა მოლოდინის შესაბამისი დადებითი ეფექტი.<br>აღნიშნულ გამოცდილებაზე დაყრდნობით 2025-2026 სასწავლო წელს იგეგმება სხვადასხვა აქტივობის განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება მოსწავლეებში თვითცნობიერების, თვითრეგულაციის, სოციალური ცნობიერების, ურთიერთობის, პასუხისმგებლობის უნარების განვითარებაზე. აღნიშნული აქტივობები გამთლიანდება სკოლის საერთო პროექტების ქუდის ქვეშ. (ესე იგი სკოლის პროექტები იქნება გამამთლიანებელი სკოლის სხვადასხვა მიმართულებების). | | | |
| **ამოცანა : დამრიგებლის საქმიანობა ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და დამოუკიდებლობას.** | | | |
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| მონაცემების მოგროვება მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებზე, გამოწვევებზე.<br>მოგროვებული მონაცემების გაანალიზება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება. | მოგროვებულია ინფორმაცია ყველა მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებზე, გამოწვევებზე.<br>მონაცმები გაანალიზებულია მოსწავლთა საჭიროებებზე, ინტერესებსა და გამოწვევებზე.<br>დაგეგმილი და განხორციელებულია შესაბამისი აქტივობები. | სპონტანურად, თუ თანმიმდევრულად მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება და დამუშავება მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე? იგეგმება/ხორციელდება თუ არა სადამრიგებლო აქტივობები მოგროვებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით? | დაკვირვება. იდენტიფიცირება. მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე დაფუძნებული აქტივობები. |
| სკოლა თაობის მისიის და მიზნების რეალიზებაში, საკვანძო მნიშვნელობა აქვს დამრიგებლის მიერ თანმიმდევრულად მონაცემების შეგროვებას დამუშავებას და გაანალიზებას მოსწავლეების ინტერესებზე და საჭიროებებზე. აუცილებელია პროცესებზე დაკვირვება, საჭიროებების დროული იდენტიფიცირება. რათა მიზნობრივად და მტკიცებულებებზე დაფუძნებით დაიგეგმოს/განხორციელდეს შესაბამისი, საჭირო აქტივობები. სკოლაში დამრიგებლის მიზანია მოსწავლეების კოგნიტური და სოციო-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა მოსწავლეთა თვითგანვითარებას და თვითრეალიზებას საზოგადოებაში წარმატებული სოციალიზაციისათვის. ამ მიზნის მისაღწევად დამრიგებლის ამოცანაა თავისუფალი, ჩართულობაზე ორიენტირებული, კეთილგანწყობილი დისკრიმინაციისაგან დაცული საკლასო გარემოს უზრუნველყოფა და მოსწავლეთა ინტერესების საჭიროებების შესაბამისი აქტივობების განხორციელება.<br>2024-2025 სასწავლო წელს აღნიშნული მიმართულებით სკოლაში დაინერგა წარმატებული პრაქტიკა კერძოდ დაწყებით საფეხურზე სადამრიგებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით სკოლის დამატებითი საგნები „ზღაპართერაპია'' და „სიბრძენე მინიატურებში'' სასწავლო კურსი ინტეგრირდა სადამრიგებლო საქმიანობსთან. შესაბამისად აღნიშნული კურსს წარმართავენ დაწყებითი კლასის დამრიგებელები. კურსის და სადამრიგებლო საქმიანობის ინტეგრირებას აქვს დადებითი ეფექტები, პროცესში ხორციელდება მეტი საკლასო აქტივობა, კურსი უზრუნველყოფს სადამრიგებლო საქმიანობის მეტად მიზნობრივად წარმართვას, ზრუნვის, ემპათიის არსის უკეთ გააზრების ხელშეწყობას. თუმცა მნიშვნელოვანია აღნიშნული კურსის და სადამრიგებლო საქმიანობის მეტად მიზნებზე ორიენტირება, შუალედური მიზნების ფორმულირება და გაწერა, ასევე დავალებების, რესურსების საერთო მიზნების ქუდის ქვეშ მობილიზება რაც მეტად უზრუნველყოფა სადამრიგებლო საქმიანობის ეფექტურობას.<br>აღნიშნულის უზრუნველსაყოფად 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება ზღაპართერაპიის და სიბრძნე მინიატურებში კურსის ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრული შუალედური მიზნებით (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები) შემუშავება და განხორციელება. | | | |

**თავი II პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმის განვითარება.**

| **ამოცანა : უზრუნველყოფილია სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში, მოსწავლეებისთვის ნაცნობ/საინტერესო შინაარსობრივ კონტექსტში ცნებების გააზრებით/მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებით და ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობით,ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების „გზა”.** | | | |
|---|---|---|---|
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შექმნა. | საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსია ეფუძნება კათედრების სხდომაზე გაზიარებულ მიგნებებს;<br>საგნობრივ კურიკულუმებში ცნებებზე ორიენტირებით თემების ფარგლებში განსაზღვრულია შუალედური მიზნები (შემოქმედებითი დავალების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, საკითხები); | კურიკულუმის დაგეგმვისას წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/მოსწავლის პიროვნული განვითარება (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება)? | კურიკულუმი VS საკითხების ჩამონათვალი. |

2024-2025 სასწავლო წელს კურიკულუმების შექმნის პროცესი მიმდინარეობდა შემდეგნაირად. სამუშაო შეხვედრაზე ერთობლივად მიდიდოდა მსჯელობა:

- რამდენად შეესაბამება შემუშავებული კურიკულუმის პროექტი, განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული კურიკულუმის ანალიზის შედეგებს. რამდენადაა გათვალისწინებული კურიკულუმის პროექტში წინა წლის წარმატებული პრაქტიკა და რამდენაა მონიშნული გამოწვევების შესაბამისი ნაბიჯები (აქტივობები).
- ნაცვლად საკითხთა და ქცევათა ჩამონათვალისა, შემუშავებულ კურიკულუმში წარმოადგენს თუ არა ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი/ მოსწავლის პიროვნული განვითარება?
- დაგეგმილი სასწავლო პროცესი ამოდის მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე (თუ ათვლის წერტილია საგანი, სახელმძღვანელო და სხვა მსგავსი ორიენტირები)?
- შემუშავებული შეფასების კრიტერიუმები მიემართება თუ არა ცნებებს და შეფასება ჩვენს მიერ ერთიან, განუყოფელ პროცესად არის აღქმული (შეფასება როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესება - Assessment **for** Learning და შეფასება როგორც უშუალოდ სწავლის პროცესი - Assessment **as** learning) ?
- საგნებში სასწავლო შინაარსი (საკითხები, მასალა) ისეა შერჩეული რომ არც ძალიან იოლი და არც ძალიან რთული იყოს მოსწავლეებისთვის?

ამ შეკითხვებზე ზუსტი პასუხისთვის კი შევაფასეთ ჩვენს მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული - შემოქმედებითი დავალებების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, სასწავლო შინაარსი (საკითხები, მასალა), რესურსები, მეთოდები/სტრატეგიები, ექსტრაკურიკულური აქტივობები, სკოლის საერთო პროექტები - რამდენად უზრუნველყოფდა მიზნის მიღწევას/ მოსწავლეების პიროვნულ განვითარებას (რამდენად მიემართებოდა ცნებებს და ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას, მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე, სწავლის-სწავლაზე სათანადო აქცენტის გაკეთებას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას/ფუნქციური ცოდნის შეძენას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას, ცოდნათა ორგანიზებას)?

ასევე დაგეგმვისას ვიმსჯელეთ თუ როგორ უზრუნველვყოთ დაგეგმილი კურიკულუმის წინა წელთან შედარებით მეტად ეფექტიანად განხორციელება? გაგრძელდება სარგებელი, რომელიც კურიკულუმის განხორციელებას მოჰყვება?

| | | | |
|---|---|---|---|
| აღნიშნული პროცესების გავლის შემდეგ შეიქმნა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები. | | | |
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| კათედრის შეხვედრების ჩატარება | ჩატარებულია კათედრის შეხვედრები, რომლის ფარგლებში განიხილება სასწავლო მეთოდის, შინაარსის, დავალებების, შეფასებების ეფექტურობა,ვალიდურობა. | კათდრის შეხვედრებს აქვს თანამშრომლობითი შემოქმედებითი, ინტენსიური ხასიათი თუ მონოტონური, პასიური? | სასკოლო კულტურა. წარმატებული გამცდილების გაზიარება. |
| 2024-2025 სასწავლო წელს ტარდებოდა კათედრების შეხვედრები, რომელიც ორი დიდი მიმართულებისაგან შედგება, ერთი მიემართება დაგეგმვის პროცესს ხოლო მეორე დაგეგმილის განხორციელების ანალიზს. თუმცა ეს ციკლური პროცესია, ანუ განხორციელების ანალიზის შემდეგ იქმნებოდა ახალი გეგმა. კერძოდ დაგემვის ეტაპზე ერთობლივად ვქმნიდით დავალებების, შეფასების კრიტერიუმებს, განისაზრვებოდა საკითხების, რესურსები, რომლებიც მიემართება ცნებებს და ხელს შეუწყობდა მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას, მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე, სწავლის-სწავლაზე სათანადო აქცენტის გაკეთებას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას/ფუნქციური ცოდნის შეძენას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას, ცოდნათა ორგანიზებას. შეხვედრებზე დაგეგმვის პროცესში ასევე ხდებოდა ერთად დაფიქრება და მსჯელობა იმაზე თუ როგორ განვახორციელებდით დაგეგმილ პროცესს. კერძოდ - კურიკულუმის განხორციელებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - ერთად განისაზღვრებოდა ის გზა, რომლითაც დასახულ ამოცანებ გადაიჭრებოდა სახელდობრ: საფეხურების მიხედვით ერთი ან ორი შუალედური მიზნის მაგალითზე, დეტალურად აღიწერებოდა პროცესის განხორციელების ეტაპები (რას შევასრულებთ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოვიყენებთ თითოეულ ეტაპზე.<br>შეხვედრების მეორე მიმართულება მიემართებოდა განხორციელების ანალიზს, ანუ გაანალიზდებოდა საერთო ამოცანების გადასაჭრელად განხორციელებული სასწავლო პროცესი/კურიკულუმი კერძოდ - გაზიარდებოდა მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ეფექტიანობის შესახებ. | | | |
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების შესაძლებლობების შესახებ მოკვლევა და ანალიზი. | მოკვლეული და გაანალიზებულია ინფორმაცია AI გამოყენების შესაძლებლობებზე. | როგორ უზრუნველყვყოთ საგანმანათლებლო პროცეში AI ინტეგრირება ისე, რომ მოხდეს მისი მიზნობრივად, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება? | ხელოვნური ინტელექტი როგორც შესაძლებლობა. |
| 2024-2025 სასწავლო წელს დაიწყო გარკვეულ საგნებში (იდეები და ღირებულებები, შესავალი თანამედროვე აზროვნებაში) AI აქტიური დანერგვა და გამოყენება. კერძოდ ხდებოდა რესურსთა მობილიზება, ტესტების შექმნა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით.<br>2025-2026 სასწავლო წელს იგეგმება მეტად ინტეგრირება ხელოვნური ინტელექტის. | | | |
| **ამოცანა : უზრუნველყოფილია შუალედური მიზნების მიღწევა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობით.** | | | |
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| სასწავლო პროცესის ცნებების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებით, | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურება; | სასწავლო პროცესი მოსწავლე სუბიექტის პარადიგმიდან მიმდინარეობს? | ტრადიციული პედაგოგიკა VS მოსწავლე სუბიექტი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპების დაცვით განხორციელება. | სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია ცოდნის ეტაპობრივი აგება, წინა ცოდნაზე დაფუძნებით;<br>სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას;<br>სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას;<br>სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურება?<br>სასწავლო პროცესში ნაცვლად საგნის, სახელმძღვანელოს და სხვა მსგავსი ორიენტირისა, უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება? | სასწავლო პროცესზე ორიენტირება.<br>ინკლუზიური განათლება.<br>დიფერენცირებული მიდგომა. |

სკოლაში სწავლა-სწავლების მიზანი (ცნებების გააზრება, ფუნქციური უნარების განვითარება) მიიღწევა კონსტრუქტივიზმის პრინციპის დაცვით (1-მოსწავლე სწავლა-სწავლების სუბიექტია; 2- სწავლა ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესია), რომელიც რეალიზდება საგაკვეთილო პროცესში შემოქმედებით დავალებაზე მუშაობით (შემოქმედებითი დავალება მოიაზრება სწავლების მეთოდად, რომელიც უზრუნველყოფს საგაკვეთილო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართულობას / წარმოადგენს „ტრადიციული საგაკვეთილო პროცესის“ ალტერნატივას.

2024-2025 სასწავლო წელს (დიდწილად მეორე სემესტრში) საბოლოოდ დაინერგა და შეთანხმდა სკოლის ერთიანი კონცეფცია სასწავლო პროცესის წარმართვისა.

კერძოდ: სასწავლო პროცესში შემოქმედებით დავალებაზე/შუალედურ მიზნებზე მუშაობა მიმდინარეობს შემდეგნაირად:

- შესასწავლი საკითხის დაანონსებისთანავე, მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს დავალების პირობას(შესაძლოა დავალების ადაპტირება მოსწავლის საჭიროებების, მზაობის, ინტერესის მიხედვით) და ცნების/ცნებების გააზრებისაკენ მიმართულ შეფასების კრიტერიუმებს.
- საჭირო რესურსის მობილიზებას მასწავლებელი ახდენს ცნებების გააზრებაზე მიმართული შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე და მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების გათვალისწინებით. ესე იგი პირველადია ცნებებზე მიმართული შეფასების კრიტერიუმები და ამის საფუძველზე რესურსთა მობილიზება.
- საკითხზე მუშაობა გრძელდება რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში. მოსწავლეებმა ზუსტად იციან, თუ რა შემოქმედებითი დავალების შესაქმნელად სჭირდებათ გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობები, რა დავალების საშუალებით უნდა დაამტკიცონ საკუთარი ცოდნა ახალ საკითხთან მიმართებით. ***(ცნების/ცნებების გააზრებისაკენ მიმართულ შეფასების კრიტერიუმებით მოსწავლე ნათლად ხედავს რა არის საგაკვეთილო პროცესების მიზანი. ნათელია რატომ ხორციელდება ესა თუ ის აქტივობა).***
- სამუშაო პროცესში მოსწავლეები ეცნობიან და ამუშავებენ მიცემულ/მოძიებულ მასალას ***(მასალა ორგანიზებდება/მუშავდება საგაკვეთილო პროცესში თანამშრომლობითი სწავლებით, ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით/ფრონტალური სალექციო მეთოდის მინიმუმამდე დაყვანით)***, სვამენ დამაზუსტებელ შეკითხვებს - დავალების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით. ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე.
- მასწავლებელი მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვების ხარისხზე/სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის დაკვირვებაზე დაყრდნობით აკეთებს განზოგადებებს და ადგენს მოსწავლეების მიერ ცნებების შინაარსის გააზრების დონეს თუ ფუნქციური უნარების

განვითარების დინამიკას (ესე იგი ადგენს თითოეული მოსწავლის საჭიროებას, მზაობას). სწორედ ამ განზოგადებების საფუძველზე მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში აკეთებს მიმართულების მიმცემ განმავითარებელ კომენტარს, რაც უადვილებს მოსწავლეებს პროცესის სწორად დაგეგმვას/წარმართვას.

- იმ გაკვეთილების განმავლობაში, რომელიც ამ საკითხს ეხება, ყველა მოსწავლე წარადგენს საკუთარ ნაშრომს, იღებს განმავითარებელ უკუკავშირს მასწავლებლებისგან და თანაკლასელებისგან.

**ამოცანა უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, შეფასების კრიტერიუმების, მოსწავლეთა შედეგების მონაცემების შეგროვების/ანალიზის და მტკიცებულებებზე დაფუძნებული არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღების გზით.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| მოსწავლეების მიღწევებზე მონაცემების მოგროვება და ანალიზი. | მონაცემები მოგროვებული და გაანალიზებულია ორი მიმართულებით მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროცესში და მოსწავლის პროგრესი სამიზნე ცნებების მიმართულებით. გაანალიზებული მონაცემები აღწერილია ჩარჩო ფორმასა და schoolbook-ის პლატფორმაზე. მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე გაზიარებულია კათედრის/პედსაბჭოს სამუშაო შეხვედრებზე. | სკოლაში მონაცემების შეგროვება და დამუშავება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად ატარებს, სპონტანურ თუ თანმიმდევრულ ხასიათს? მიიღება თუ არა სკოლაში გადაწყვეტილებები მოსწავლის პროგრესთან/შედეგებთან დაკავშირებით მტკიცებულებების ანალიზზე დაყრდნობით? | სასწავლო პროცესი, როგორც მონაცემების მოგროვების წყარო. მტკიცებულებეზე დაფუძნებული გადაწყვეტილება. |

2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში მასწავლებლები აგროვებდნენ და აანალიზებდნენ მონაცმებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობის და ცნებების შინაარსის გააზრების მიმართულებით. კერძოდ:

თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია, არის ცნებების შინაარსის გააზრებაში მოსწავლის პროგრესზე მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო. კერძოდ სპეციალურ ჩარჩო ფორმაში *აღიწერება* სასწავლო პროცესში, შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას მოსწავლის <u>პროგრესი</u> სამიზნე ცნებების გააზრების მიმართულებით. შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზით. ესე იგი გაანალიზდება და აღიწერება რამდენად რეალიზებულია შეფასების კრიტერიუმი მოსწავლის მიერ და რით არის განპირობებული მოსწავლის წარმატება/ხარვეზი. თითოეული მოსწავლის შედეგი/პროგრესი ფასდება თითოეულ გრძელვადიან **მიზანთან/სამიზნე ცნებასთან** მიმართებით. ეს შეფასება ოთხ დონედ იყოფა:

- **მოცემულობის გააზრების პრობლემა** - მოსწავლე ვერ იგებს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; არ/ვერ ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; საკითხის შინაარსს ვერ უკავშირებს სამიზნე ცნებას;

- **ცნების ფრაგმენტული გააზრება** - მოსწავლე პასუხობს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, მეტწილად იხსენებს/ასახელებს/ჩამოთვლის შინაარსთან დაკავშირებულ მოცემულობებს თუმცა:

- ვერ ახერხებს ცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენის/ფაქტის/შინაარსის შედარებას, განსხვავებას. (აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან/ცნებასთან დაკავშირებით)
- ვერ ახერხებს ცნების შინაარსის გაანალიზებას.
- ვერ ავითარებს მსჯელობას.

▪ **ცნების იდეის დონეზე გააზრება** - მოსწავლე საკითხის/მაგალითების შინაარსს აღწერს და უკავშირებს სამიზნე ცნებას, თუმცა:
- მის ანალიზი და მსჯელობა შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს; ან/და
- მის მიერ გაკეთებული დასკვნები/განზოგადებები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია;

▪ **ცნების სიღრმისეული გააზრება** - მოსწავლე;
- კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად, იაზრებს, აანალიზებს, ხსნის სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ საკითხს და ავითარებს მსჯელობას სამიზნე ცნებასთნ დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით (მოჰყავს მაგალითები, ადარებს სხვა საკითხებს...);
- ურთიერთადაკავშირებულად აანალიზებს სამიზნე ცნების არსებით ნიშან-თვისებებს (მკვიდრ წარმოდგენებს);
- *კონკრეტულ სამიზნე ცნებას უკავშირებს საგნის სხვა სამიზნე ცნებებს.*
- ***განაზოგადებს ცნებას, ქმნის და აყალიბებს ჰიპოთეზას/თეორიას/კრიტიკას. აკავშირებს ცნებას ზესაგნობრივ ცნებებსა თუ თეორიებთან.***

თემის ფარგლებში შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და დავალების წარდგენა/პრეზენტაცია ასევე არის მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ მონაცემების მოგროვების და ანალიზის წყარო. მოსწავლის ჩართულობაზე დაკვირვება, მასწავლებელს ეხმარება რეფლექსიისთვის, რათა ზუსტად გააანალიზოს რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას? რამდენად ეფექტური და საინტერესო იყო დავალების პირობა? შერჩეული კონტექსტები/შინაარსი? გამოყენებული რესურსები? *სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართულობის ხარისხი, აღიწერება სამი დონის მიხედვით:*

▪ ***პასიურობა*** *- მოსწავლე პასიურია; პრაქტიკულად არ მონაწილეობს სასწავლო პროცესში;*
▪ ***დავალების ჩაბარების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლის არ/ვერ ეკიდება სერიოზულად სასაწვლო პროცესს; სასწავლო პროცესში მის ჩართულობას აქვს არასისტემური ხასიათი;*
▪ ***ცნობისმოყვარეობისა და შემეცნების სურვილით განპირობებული ჩართულობა*** *- მოსწავლე მუშაობს და აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მუშაობის პროცესში ავლენს/ურთიერთდაკავშირებულად იყენებს შემდეგ ფუნქციურ უნარებს: კრიტიკული აზროვნება; შემოქმედებითობა; კოლაბორაცია; კომუნიკაცია; მოქალაქეობა (პასუხისმგებლეობა/ემპათია); ხასიათი / ნებელობა.*

აღნიშნული მონაცემები აღიწერებოდა სქულბუქის პლატორმაზე და გაზიარდა საერთო სამუშაო შეხვედრებზე.
მოსწავლეთა მიღწევების პროგრესზე დაკვირვებით და მასწავლებელთა რეფლექსიაზე დაფუძნებით დაიგეგმება 2025-2026 სასწავლო წლის გადამუშავებული კურიკულუმები.

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| მასწავლებლების რეფლექსია-წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების ანალიზი. | მასწავლებელს რეფლექსია ეფუძნება შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების | გროვდება და ანალიზდება თუ არა მონაცემები სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე? | რეფლექსია (წარმატებული გამცდილების გაზიარება, პასუხი გამოწვევებზე).<br>საჭიროებების კვლევა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ეფექტურობის და ვალიდურობის; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. რეფლექსია აღწერილია მასწვლებლის რეფლექსიის ჩარჩო ფორმაში. რეფლექსია წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევაზე გაზიარებულია კათედრებზე/პედსაბჭოზე. | | თვითშეფასება. |

სკოლაში საერთო მიზნების რეალიზების (მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა), მასწავლებლის პროფესიული განვითარების და სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მასწავლებლის თვითრეფლექსია, ანუ იმის ანალიზი, თუ რამდენად მოახდინა მასწავლებლის საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე; რა უნდა იქნას გათვალისწინებული შემდგომ პერიოდში სასწავლო პროცესის დაგეგმვისას. აღნიშნულის კათედრის თუ სხვა ღია ფორმატში განხილვა, ქმნის საფუძველს, საერთო მიზნების გამოკვეთისა, ურთიერთდახმარების და სასკოლო კულტურის განვითარების.

2024-2025 სასწავლო წელს მასწავლბლებმა განახორციელეს საკუთარი საქმიანობის რეფლექსია რომელიც ეფუძნება შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობის და ვალიდურობის; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობის და ვალიდურობის მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზს. რეფლექსია მოხდა შემდეგ საკვანძო შეკითხვებზე ორიენტირებით: რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები, სწავლების სტრატეგიები, შინაარსი მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას?

აღნიშნული რეფლექსიის შედეგად გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკა თუ გამოწვევება გაზიარდა საერთო შეხვედრებზე, რომლის საფუძველზეც დაიგეგმება გადამუშვებული 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმები.

**ამოცანა: მოსწავლეთა შედეგების ანალიზის მათი საჭიროებების, მზაობის და ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული და დანერგილია გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული ახალი სასწავლო პროგრამა/პროგრამები.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| ინგლისური ენის სწავლების პროცესში კემბრიჯის პროგრამის ინტეგრირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა და გეგმის შემუშავება. | მოკვლეულია და გაანალიზებულია ინგლისური ენის სწავლების პროცესში კემბრიჯის პროგრამის კურიკულუმში ინტეგრირების შესაძლებლობები. | სკოლა ახერხებს მოსწავლეების საჭიროებებზე, ინტერესებზე, შესაძლებლობებზე ორიენტირებას? | მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. გლობალური კომპეტენცია (მულტილინგვური წიგნიერება). |

მოსწავლეებში მაკროცნებების და გლობალურ-ფუნქციური კომპეტენციების განვითარების მიზნით, მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობის მიხედვით დიფერენცირების შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით  და სკოლის ინსტიტუციური მდგრადობისთვის (განვითარებაზე ორიენტირებულობა, სკოლის ცნობადობის ზრდა, მაღალი სტანდარტების დაწესება), 2024  წლის ზაფხულში სკოლაში დაიწყო ინგლისური ენის სწავლების პროცესში კემბრიჯის პროგრამის ინტეგრირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მოკვლევა, შემდგომი დანერგვისთვის.

ხარისხის ჯგუფმა მოაგროვა მასალა, რაც გაზიარდა შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის კათედრის წევრებთან, რათა მათ მიერ მომხდარიყო მასალის დამუშავება, მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით კურიკულუმში ინტეგრირების დაწყება. აღნიშნული აქტივობა არის განგრძობითი განხორციელების პერიოდად

| |
|---|
| მონიშნულია სექტემბერი - ივნისი. თუმცა შუალედურ მიზნად გამოკვეთილი იყო, რომ დეკემბერში მინიმუმ უნდა გვქონოდა მასალა დახარისხებული დონეებად რათა მომხდარიყო მოსწავლეების საჭიროებების მიხედვით მეორე სემესტრიდან სიღრმისეული გეგმის შემუშავება.<br>2024-2025 სასწავლო წელს კემბრიჯის პროგრამის ინტეგრირება სასწავლო პროცესში ვერ განხორციელდა. შესაბამისად 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდ სკოლაში ზაფხულში იგეგმება სამუშაო ჯგუფის შექმნა (საშუალო საფეხურის მოსწავლეები იქნებიან სამუშაო ჯგუფში) რომლის ფარგლებშიც სასწავლო თემების და შემოქმედებითი დავალებების ქუდის ქვეშ მოგროვდება და შეიკვრება კემბრიჯის რესურსები, ენის ფლობის დონეების მიხედვით. |

**თავი III სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის და ეფექტურობის უზრუნველყოფა.**

| **ამოცანა : უზრუნველყოფილია სკოლის საჭიროებებზე მორგებული ორგანიზაციული მოწყობა და სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობა.** | | | |
|---|---|---|---|
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| ახალი მოსწავლეების მიღება. | სკოლას ჰყავს ახალი მოსწავლეები. | როგორ ხორციელდება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა/მობილობის პროცესი? | მოსწავლეთა კორპუსის მართვა. |

განათლების უფლების რეალიზების/ზოგადი განათლების ღიაობის და თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წინასწარ განთავსდა სკოლის სოციალურ გვერდებზე, სკოლის მესენჯერის ჩათებში ინფორმაცია მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცესის დაწყების შესახებ. დაინტერესებული პირებისთვის - სკოლის ინფრაქსტრუქტურის, მატერიალური რესურსების, სასაწვლო შინაარსების, სწავლის მეთოდების გასაცნობად- სკოლა უზრუნველყოფდა საინფორმაციო შეხვედრებს. საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებული მოთხოვნა იყო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ჩარიცხვა/მობილობაზე. აშკარაა დადებითი დინამიკა სკოლა თაობაში ჩარიცხვა/მობილობის მსურველთა რაოდენობის ზრდაზე. ამაზე მეტყველებს ფაქტი, რომ სასწავლო წლის დაწყებმადე რამდენიმე თვით ადრე შემოსულ განცხადებათა რაოდენობა აჭარბებს კლასში/სკოლაში მისაღები ადგილების ოდენობას. (სკოლა თაობაში კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 18 მოსწავლით). 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 308 ბავშვს, ხოლო 2024-2025 სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 333 ბავშვს. გამოკითხვა და ანალიზი გვიჩვენებს, რომ დინამიკის ზრდის ფაქტორი მეტწილად სკოლის ახალი შენობაა(ინფრასტრუქტურა, რესურსები, ადგილმდებარეობა), ნაწილობრივ კი სკოლის სასწავლო მეთოდების, საგანმანათლებლო პრინციპების გაზიარება/აღიარება.

ჩარიცხვის/მობილობის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის და სკოლა თაობის შინაგანაწესის შესაბამისად. ჩარიცხვისას ყურადღებას ვაქცევთ რეგისტრაციის ვადებს, მოსწავლეთა ასაკს. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვამდე, ბავშვთან გასაუბრების საფუძველზე სკოლის ფსიქოლოგი ადგენდა ბავშვის სასკოლო მზაობას, ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით. მობილობის შემთხვევაში გასაუბრების ასევე გამოცდის /ტესტირების საფუძველზე ვადგენდით მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობას, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით. საქმისმწარმოებელი აცნობდა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად/მობილობისთვის საჭირო საბუთთა ჩამონათვალს და მათი წარდგენის ვადას. მოსწავლის ჩარიცხვა/მობილობა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებისა და მოსწავლის ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის საფუძველზე. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვისას იხსენება მოსწავლის პირადი საქმე.

*დაკვირვება და ანალიზი გვიჩვენებს, რომ მობილობის შემთხვევაში სწარაფი ადაპტაცია/ტრანზიციის, მოსწავლის აკადემიური მიღწევის და ფუნქციური უნარების განვითარების დონის უკეთ დასადგენად, სასურველია მეტად გავითვალისწინოთ და უკეთ გამოვიკვლიოთ გამშვები სკოლის სპეციფიკა, საზოგადოება, გარემო სადაც მოსწავლე ყალიბდებოდა/ყალიბდება.*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| ახალი მასწავლებლების/თანამშრომლის მისაღები კონკურსის გამოცხადება, მასწავლებელთა აყვანა, ხელშეკრულების გაფორმება. | გამოცხადებულია კონკურსი კანონის შესაბამისად. გაფორმებულია ხელშეკრულება ახალ მასწავლებლებთან/თანამშრომელთან. | როგორ უზრუნველვყოთ ისეთი მასწავლებლების/თანამშრომლის მოზიდვა/მიღება, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისიას ხედვას, მიზნებს, ღირებულებებს? | ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური პოლიტიკა. |

2024 წლის ზაფხულში სკოლამ გამოაცხადა მასწავლებელთა მისაღები კონკურსი http://teacherjobs.ge/ საიტის მეშვეობით, სადაც აღწერილი იყო აპლიკანტისადმი წაყენებული პირობები და სამუშაო აღწერილობა. კონკურსი გამოცხადებული იყო: ბუნებისმეტყველების, ჩვენი საქართველოს, ქართული ენა და ლიტერატურის(2), მათემატიკის და ფიზიკური აღზრდა და სპორტის მასწავლებლების პოზიციაზე. კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს: განცხადებების განხილვა, გასაუბრება, იმიტირებული გაკვეთილის ჩატარება.

მასწავლებლობის კანდიდატის საკონკურსო ეტაპების წარმართვას ახორციელებს საკონკურსო კომისია. განცხადებების განხილვის ეტაპზე ყურადღება მახვილდება თუ რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი კანონმდებლობის მოთხოვნებს კერძოდ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებას.

მასწავლებელთა განცხადებების განხილვის შემდეგ საკონკურსო კომისია გასაუბრებაზე იბარებდა შერჩეულ კანდიდატებს (ვაცნობებდით გასაუბრების თარიღს, მისამართს...). გასაუბრების ეტაპზე შეკითხვები შეეხებოდა მასწავლებლობის კანდიდატის ხედვას საგნის სწავლა-სწავლებაზე (საგნობრივ მიზნებს, შინაარსს, სწავლების მეთოდებს, შეფასების სისტემას, დავალებების საკითხს), კოლეგებთან თანამშრომლობას თვითგანვითარებისა და ურთიერთგანვითარების შესახებ მასწავლებლის ხედვას. მოსწავლის და მასწავლებლის ურთიერთობის პარადიგმაზე.

მესამე ეტაპის „იმიტირებული გაკვეთილის“ ჩატარების მთავარი ამოცანა იყო დაგვედგინა, მასწავლებლობის კანდიდატი ე.წ. „ტრადიციული პედაგოგიკისთვის"(„გადაცემის პედაგოგიკა,“ ,,მასწავლებელზე ორიენტირებულ პედაგოგიკა," „სწავლების პედაგოგიკა“) დამახასიათებლად ფრონტალური სალექციო ტიპის გაკვეთილს ჩაატარებდა, თუ საგაკვეთილო პროცესს ააგებდა ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით თანამშრომლობით სწავლებაზე. იმიტირებული გაკვეთილის ეტაპი საკვანძოა, ვინაიდან აქ დგინდებოდა მასწავლებელი იზიარებდა სკოლის მისიას/ხედვას (მოსწავლე როგორც განვითარების სუბიექტი, შესაბამისად სწავლა/სწავლების პროცესის დაფუძნება პიროვნებებს შორის ურთიერთობაზე, თანამშრომლობაზე, ცოდნის აგებაზე) თუ ტრადიციული („გადაცემის პედაგოგიკა,“ ,,მასწავლებელზე ორიენტირებულ პედაგოგიკა," „სწავლების პედაგოგიკა“) პედაგოგიკის მიმდევარი იყო.

*<u>პირველი სემესტრში ახალი მასწავლებლების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სკოლას შეემატა კვალიფიციური, თანამშრომლობითი უნარის მქონე მასწავლებლები, რომლებიც იზიარებენ სკოლის მისიას/ხედვას და მოსწავლეებს აღიქვამენ განვითარების სუბიექტებად.</u>*

2024 წლის ზაფხულში სკოლამ სოციალური გვერდების გამოყენებით გამოაცხადა მისაღები კონკურსი PR მენეჯერის პოზიციაზე. აქაც მთავარი ამოცანა იყო ისეთი კადრის შერჩევა, რომელიც გაიზიარებდა სკოლის მისიას/მიზნებს და თავის საქმიანობას სკოლაში დააფუძნებდა მიმართავდა სკოლის სტრატეგიული მიზნების შესრულებისაკენ. განცახდებების განხილვის და გასაუბრების შემდეგ სკოლამ შეარჩია შესაბამისი კადრი და სკოლას ჰყავს ახალი თანამშრომელი PR მენეჯერის პოზიციაზე.

2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სკოლაში გამოცხადებული იყო კონკურსი მოქალაქეობის, ჭადრაკის და ქართული ენა და ლიტეარატურის (დაწყებითი საფეხური) მასწავლებლების პოზიციაზე. კონკურსი კვლავ სამ ეტაპს მოიცავდა, თუმცა განსხვავებით პირველი სემესტრის და წინა წლების პრატიკისაგან, მესამე ეტაპზე გადასულ მასწავლებელს ნაცვლად იმიტირებული გაკვეთილის ჩატარებისა, ეძლეოდა დავალება, სკოლაში მიღებული კურიკულუმის ჩარჩო დიზაინის და საგანმანათლებლო პრინციპებზე ორიენტირებით დაეგეგმა ერთი შუალედური მიზანი (შემოქმედებითი დავალება,

შეფასების კრიტერიუმები საკითხთა სპექტრი და მსველობა როგორ წარმოედგინა). აღნიშნულზე მასწავლებლები აკეთებდნენ პრეზენტაციას და შეირჩა ის მასწავლებლები, ვინც ყველაზე უკეთ დაგეგმა და წარმოაჩინა შუალედური მიზანი.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| პროცესების მონიტორინგი, უკუკავშირი და დასკვნა | განხორციელებულია მონიტორინგი-დასკვნის პროცესი. | სკოლაში მონიტორინგი, აღქმულია როგორც პროცესის მიმდინარეობის ზედამხედველობა ხოლო შეფასება, როგორც დიალოგი დაგეგმილ და რეალიზებულ პროცესებს შორის? | პროცესების შესაბამისობა, ეფექტიანობა, ქმედითობა, გამოწვევების იდენტიფიცირება/ ზეგავლენის შეფასება, პროცესების გაუმჯობესება, მიზნობრივი ცვლილებები. |

საკვანძო მნიშვნელობა აქვს მიმართებას „დაწერილ“ და „განხორციელებულ“ პროცესებს შორის. ხშირია შემთხვევები, როდესაც სკოლის ესა თუ ის პროცესი არ/ვერ მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად; ან არ იძლევა იმ ეფექტს, რომლის მოლოდინიც სასკოლო საზოგადოებას აქვს. ამ ტიპის გამოწვევების შესასწავლად, ზეგავლენის შესაფასებლად, პროცესების გაუმჯობესება/ეფექტური ცვლილებების მიზნით, სკოლაში 2024 წლის სექტემბრიდან აქტიურად დაინერგა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა. მონიტორინგი/შეფასება/უკუკავშირი ეფუძნება მხარდაჭერის, გუნდური მუშაობის, მიზნობრივი დაგეგმვისა და რეფლექსიის პრინციპებს.

მიზნებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე მონიტორინგი-შეფასების პროცესი სკოლაში არის 2 ეტაპიანი/დონიანი.

- პერსონალი/სტ.ერთეული საკუთარ სამუშაო გეგმაზე ორიენტირებით ახორციელებს, საკუთარი საქმიანობის გეგმასთან შესაბამისობა/ეფექტურობის დაკვირვება/ანალიზს. საჭიროების შემთხვევაში ხარისხის ჯგუფთან/დირექტორთან შეთანხმებით შეაქვს გეგმაში, ცვლილებები, სემესტრის დასრულებისას (დეკემბრის ბოლო კვირას) კი აკეთებენ საკუთარი საქმიანობის რეფლექსიას და წერენ ანგარიშს.
- ხარისხის ჯგუფი სხვადასხვა ვალიდური მეთოდის გამოყენებით ახორციელებს პროცესის/აქტივობების მონიტორინგს, აგროვებს მონაცემებს რათა მოახდინოს პროცესის ზედამხედველობა, საჭიროების შემთხვევაში ინტერვენცია. სემესტრის ბოლოს კი წერს ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია პროცესების ეფექტურობა და განსაზღრულია შემდგომი რეკომენდაციები.

2024 წლის ივლისში იდენტიფიცირდა და 4 დონიანი შკალით შეფასდა, სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკები, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა ამა თუ იმ პროცესთან დაკავშირებული მონიტორინგის ინტენსივობა და მექანიზმი, რაც აისახა ხარისხის ჯგუფის სამოქმედო გეგმაში. 2024-2025 სასწავლო წელს, პროცესის ანალიზისა და შეფასებისთვის, წარმატებული გამოცდილების თუ გამოწვევების შესახებ მონაცემების მოგროვება ხორციელდებოდა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით. კერძოდ: მასწავლებლებთან ინდივიდუალურ სამუშაო შეხვედრებზე, საგნობრივი გუნდების სამუშაო შეხვედრების დროს, მასწავლებელთა კორპუსის გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე, კონკრეტული მაგალითების განხილვით, ასევე ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის, მოსწავლის პროფილის შესწავლით, მუდმივად ვაანალიზებთ მასწავლებლის მიერ საგნობრივი კურიკულუმით დაგეგმილ და ელექტრონული ჟურნალის პლატფორმაზე ასახული - შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობას და ვალიდურობას; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობას და ვალიდურობას. მოსწავლეთა ნამუშევრებს; მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოკითხვის შედეგებს. დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტების ეფექტურობას და შედეგებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ვალიდურობის და ეფექტურობის შედეგებს.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|

| სხვადასხვა ორგანიზაციის წარმატებული პრაქტიკის შესწავლა. | შესწავლილია არანაკლებ 2 ორგანიზაციის წარმატებული პრაქტიკა | რა კრიტერიუმებით შეირჩა წარმატებული ორგანიზაციები? | განვითარებაზე ორიენტირებულობა |
|---|---|---|---|

2024 წლის ივლისში ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელებისას, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის ეტაპზე, ერთი მხრივ გამოიკვეთა სკოლის ძლიერი მხარეები, კერძოდ: განვითარებაზე ორიენტირებულობა - სკოლის უნარი, იკვლიოს საკუთარი მიღწევები, პრობლემები, რისკები; მკაფიოდ გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები - მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის რეალიზება სკოლაში. მეორე მხრივ კი ანალიზის ეტაპზე გამოიკვეთა სკოლის საჭიროებები კერძოდ: მოსწავლე სუბიექტის/ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების პრინციპებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების, წარმატებული/აპრობირებული პრაქტიკის შესწავლა ქართულ ან უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეებში. ესე იგი კრიტერიუმი, რომლის გათვალისწინებითაც დაიწყო საგანმანათლებლო ორგანიზაციების მოძიება და პრაქტიკის შეწვლა, იყო შემდეგი: ორგანიზაციებს დეკლარირებული უნდა ჰქონოდათ კონსტრუქტივიზმის პრინციპები რომელიც, წარმატებით რეალიზებული უნდა ყოფილიყო თანამშრომლობითი სწავლებით, ინტერაქტიური მეთოდებით.

საქართველოში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების, წარმატებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, 2024 წლის 30 ნოემბერს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში, სკოლის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ვორკშოპში, რომელიც მიეძღვნა დისკუსიაზე დაფუძნებულ სწავლებას, *ჰარკნესის მეთოდის* გამოყენებით.

უცხოეთში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, 2024 წლის დეკემბრის თვეში, სკოლის ხარისხის ჯგუფი გაეცნო https://michiganvirtual.org/ საიტზე (მიჩიგანის ონლაინ სკოლა), თანამშრომლობითი სწავლების წარმატებულ პრაქტიკას, კერძოდ რესურსების (დრო, მასალა) დიფერენცირებულად შერჩევის საკითხს. (როგორ შევარჩიოთ საკითხები, მასალა ისე რომ სტუდენტს ჰქონდეს Voice And Choice).

*ზემოაღნიშნული წარმატებული პრაქტიკების შესწავლის შემდეგ, სკოლაში დანერგვის პროცესშია (აისახა საგნობრივ კურიკულუმებში და ხორციელდება საკლასო ოთახში) დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლება როგორც სწავლების ძირითადი მეთოდი. ასევე დანერგვის პროცესში (საშუალო საფეხური) თანამშრომლობით სწავლების კონცეფცია, კერძოდ მასწავლებლის და მოსწავლეების დიალოგი სასწავლო პროცესში წარმატებაზე, გამოწვევებზე, რესურსების ვალიდურობასა და ეფექტიანობაზე და ა.შ (მეტაკოგნაცია მასწავლებლის და მოსწავლის, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება სასწავლო პროცესის თანმდევი და შემადგენელი ნაწილია "შეფასება როგორც სწავლება). 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი სრულად დაეფუძნება ზემოაღნიშნულ პრინციპებს.*

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| პერსონალური მონაცემების კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმის დანერგვა | გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით შესაბამის საქმიანობას.<br>შექმნილია პოლიტიკის დოკუმენტები.<br>დანერგილია პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისი მექანიზმი. | რა პოლიტიკის დოკუმენტებით და მექანიზმებით ხორციელდება სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა? | თანამშრომლების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი. |

მაღალი სტანდარტით თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოსასვლელად. სკოლა თაობამ 2025 წლის 07 თებერვალს გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება შპს „პრემიუმ სეიფთთან. რომელიც ითვალისწინებს: ა) პირველად აუდიტს და პერიოდულ მონიტორინგს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად; ბ) მიმდინარე ტექნიკური და ადმინისტრაციული პროცესების ანალიზის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებას, რომელიც მოიცავს ინციდენტის მართვის სტრატეგიას და პირდაპირი მარკეტინგის პოლიტიკას/სტრატეგიას (საჭიროების შემთხვევაში), და მის პერიოდულ განახლებას; გ) ვიდეომონიტორინგის და აუდიომონიტორინგის (შემდგომში „მონიტორინგი“) განხორციელების წესის თაობაზე კონსულტაციის გაწევას და შესაბამისი მითითებების გაცემას (საჭიროების შემთხვევაში); დ) მონიტორინგის თაობაზე შესაბამისი წერილობითი დოკუმენტის (პოლიტიკის) შემუშავებას/განახლებას, რომლიც უნდა ითვალისწინებდეს მონიტორინგის მოცულობას და მიზანს, მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჩანაწერის შენახვის ვადას, ჩანაწერზე წვდომას, შენახვისა და განადგურების წესს და პირობებს, პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმებს. ე) პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის კანონით გარანტირებული უფლებების რეალიზების მიზნით, ინფორმაციის შემუშავებას და ინფორმაციის მიწოდების ფორმების განსაზღვრას და შესაბამისი პროცედურების დადგენას; ვ) პერსონალურ მონაცემებთან შემხებლობაში მყოფი დასაქმებულებისთვის სწავლების ჩატარებას; ზ) საჭიროების შემთხვევაში, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადებას/კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად პერიოდულ განახლებას; თ) პერსონალური მონაცემების გამოთხოვის, მიმართვის და ინფორმაციის მიწოდების შესახებ განცხადების ფორმის მომზადება; ი) ზედამხედველ ორგანოსთან კომუნიკაციაში ჩართულობას, დამკვეთის ინტერესების შესაბამისად.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა - პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი; „მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების'' დოკუმენტი; „თანამშრომლის პასუხისმგებლობა და ვალდებულებები პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს'' დოკუმენტი; ინციდენტის იდენტიფიცირებისა და მასზე რეაგირების პოლიტიკის დოკუმენტი; ასევე ხელშეკრულებების თანდართული დოკუმენტები 16 წალმდე მოსწავლის მშობლის, 16-18 წლამდე მოსწავლის მშობლის და 16 წელს მიღწეული მოსწავლის თანხმომების შესახებ.

2024-2025 წლის მეორე სემესტრში ჩატარდა პრაქტიკული სწავლებები, რომლებიც მიემართებოდა შექმნილი დოკუმენტების დანერგვის საკითხს. დაცვის ოფიცერს სწავლებების გარდა ჰქონდა ვიზიტები სკოლაში სადაც ახდენდა პროცესის მონიტორინგს და შეფასებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სრულად კანონმდებლობის შესაბამისად და სასკოლო საზოგადოების ინტერესების და უფლებების დაცვით ხორციელდება პერსონალური მონაცემების პოლიტიკა.

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმის დანერგვა. | გაფორმებულია ხელშეკრულება შესაბამის ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამის საქმიანობას.<br>შექმნილია პოლიტიკის დოკუმენტები.<br>დანერგილია პოლიტიკის დოკუმენტების შესაბამისი მექანიზმი. | რა პოლიტიკის დოკუმენტებით და მექანიზმებით ხორციელდება სკოლაში შრომის უსაფრთხოების საკითხის უზრუნველყოფა? | თანამშრომლების უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტი. |

მაღალი სტანდარტით თანამშრომელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მოსასვლელად. სკოლა თაობამ 2025 წლის 07 თებერვალს გააფორმა მომსახურების ხელშეკრულება შპს ბლექს სი სეიფთთან. რომელიც ითვალისწინებს: შრომის უსაფრთხოების სისტემის

ჩამოყალიბებას  და  აკრედიტირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტ(ებ)ის გამოყოფას ხელშეკრულების დადებისთანავე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ზედამხედველობას გაუწევს  დამკვეთის ობიექტს; რეკომენდაციების მომზადებას და დამკვეთისათვის მიწოდება შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელი  კანონებისა და რეგლამენტების  საფუძველზე; შრომის უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად გულისხმობს: ა) დამკვეთის საქმიანობის შესწავლასა და საჭირო პრევენციული გეგმის შემუშავებას; ბ) კომპანიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა/ ჩამოყალიბებას და შესაბამისი დოკუმენტის შექმნას; გ) დამკვეთისათვის შრომის უსაფრთხოების გეგმის შემუშავებას ; დ) დამკვეთის სამუშაოს  სპეციფიკიდან გამომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირებას,  რისკების გამოვლენასა და შეფასებას; ე) გამოვლენილი რისკების კონტროლთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემას; ვ) უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების პრევენციის ღონისძიებების დაგეგმვას; ზ) დამკვეთის დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას  გეგმიური სწავლებებითა და ინსტრუქტაჟებით; თ) დამკვეთის ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების დოკუმენტირებასა და  რეკომენდაციის სახით დამკვეთი კომპანიისთვის  გაგზავნას; ი) დამკვეთის დროულ ინფორმირებას შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონებსა  და რეგლამენტებში შესული ცვლილებების შესახებ; კ) ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ თრობაზე კონტროლის სისტემის დანერგვას; ლ) საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შედგენას; მ)  საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით მიკროკლიმატის მანორმირებელი პარამეტრების (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე) და განათების გაზომვითი სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადებას (საჭიროების შემთხვევაში) .

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტები და სხვადასხვა ფორმები (აღრისცვის და ა.შ)

2024-2025 წლის მეორე სემესტრში ჩატარდა პრაქტიკული სწავლებები, რომლებიც მიემართებოდა შექმნილი დოკუმენტების დანერგვის საკითხს. შრომის უსაფრთხოების ოფიცერს სწავლებების გარდა ჰქონდა ვიზიტები სკოლაში სადაც ახდენდა პროცესის მონიტორინგს და შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ მეორე სემესტრში სკოლაში ვიზიტით იმყოფებოდა შრომის ინსპექცია, რომელმაც სკოლას მისცა გარკვეული რეკომენდაციები. შრომის უსაფრთხოების მხრივ სკოლამ სრულად უზრუნველყო აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება, რაც დასტურდება შრომის ინპექციის შემდგომი დასკვნით.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში სრულად კანონმდებლობის შესაბამისად და სასკოლო საზოგადოების ინტერესების და უფლებების დაცვით ხორციელდება შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა.

**ამოცანა: სკოლის მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის განვითარებასა და ეფექტურ ფუნქციონირებას.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| ინფრასტრუქტურის კოსმეტიკური განახლება | განახლებულია ინფრასტრუქტურა საჭიროებისამებრ (სამღებრო სამუშაოები, შეკეთება და ა.შ) | სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის მიზნების მიღწევაში? | სკოლის საჭიროებებზე მორგებული  ინფრასტრუქტურა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. |

2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში ინფრასტრუქტურის მიმართულებით, სკოლაში განხორციელდა კოსმეტიკური განახლების სამუშაოები. თანამედროვე სკოლის საჭიროებებზე/მოთხოვნილებებზე მორგებული  ინფრასტრუქტურით, ხელშეწყობილია სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება, სადაც ხარისხიანი განათლების მიღებასთან ერთად, მოსწავლეებს, მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა აქტივობების განხორციელების, ფილმების ნახვის, სტუმრების მოწვევის, დისკუსიების/პოდკასტების მოწყობის და ა.შ. რაც თავის მხრივ ეხმარება სკოლას მიაღწიოს ერთ-ერთ მიზანს მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას.




*გრაფიკი: გამოკითხვის შედეგები*

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| მატერიალური რესურსის შეძენა (ლეპტოპები, პროექტორები). | შეძენილია მინიმუმ 4 და მაქსიმუმ 10 პროექტორი;<br>შეძენილია მინიმუმ 2 ლეპტოპი და 2 პერსონალური კომპიუტერი;<br>შეძენილია მინიმუმ 1 ინტერაქტიული დაფა. | სკოლას აქვს მიზნების მისაღწევად საკმარისი მატერიალური რესური? | საკმარისი და ხარისხიანი მატერიალური რესურსი. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. |

„მოსწავლე სუბიექტის" პარადიგმა, მოიაზრებს სასწავლო პროცესის თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებით წარმართვას. მათ შორის მოსწავლეებს და მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ რესურსების/მასალის ინტერესების, საჭიროებების მიხედვით არჩევის შესაძლებლობა (*მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი სწავლის პროცესის წარმართველი. ავტონომიურობა, მისი წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია - მოსწავლეს აქვს აზრის გამოთქმის და არჩევანის შესაძლებლობა Voice And Choice, კერძოდ აფიქსირებს აზრს პროცესზე და აკეთებს არჩევანს რესურსების /სტრატეგიების მხრივ, რა ტიპის რესურსის და რა მასალის გამოყენებით გაიაზრებს ცნებას).* ამისთვის კი საჭიროა საკმარისი ტექნოლოგიურ/მატერიალური რესურსები, რომელიც მასწავლებლებს დაეხმარება ხარისხიანი/ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში, მოსწავლეებს კი დაეხმარება ხარისხიანი განათლების მიღებაში.

2024 -2025 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ შეიძინა 4 პროექტორი და 2 ლეპტოპი, შესაბამისად გაიზარდა სასწავლო პროცესის ეფექტური ორგანიზების მაჩვენებელიც. 2024-2025 სასწავლო წლის მეორე სემესტრში კი სკოლამ შეიძინა პოდკასტების და სხვა ტიპის ვიდეო კონტენტების შესაქმნელი აპარატურა და დამხმარე საშუალებები (განათებები და ა.შ) რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა ჩართულობაზე და მეორე მხრივ სკოლის ცნობადობის ზრდაზე, ვინაიდან სკოლაში დაიწყო მაღალი ხარისხის ვიდეო კონტენტის შექმნა და სოციალური ქსელების გვერდზე განთავსება.

თუმცა სასწავლო და დამხმარე პროცესებზე დაკვირვება, მასწავლებელთა მიერ გამოყენებული რესურსების *ანალიზი გვაჩვენებს, რომ სკოლა საჭიროებს დაწყებით საფეხურის რამდენიმე კლასში ახალი პროექტორის შეძენას, ასევე რამდენიმე ლეპტოპის შეძენას. რათა უკეთ დაიგეგმოს საგაკვეთილო პროცესი.*

აღნიშნულს ცხადყოფს სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. კერძოდ: მოსწავლეთა 60% მიიჩნევს, რომ სკოლაში არსებული ტექნოლოგიურ/მატერიალური რესურსი სრულად ეხმარება მათ ხარისხიანი განათლების მიღებაში. 20 % თვლის, რომ მეტწილად, 10 % თვლის რომ ნაწილობრივ, ხოლო 10 % თვლის რომ არ ეხმარება. მასწავლებელთა შემთხვევაში გამოკითხულთა 50% თვლის რომ სრულად ეხმარება ხარისხიანი/ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. 30% თვლის რომ მეტწილად, 10 % თვლის ნაწილობრივ, ხოლო 10 % თვლის რომ არ ეხმარება.







*გრაფიკი: გამოკითხვის შედეგები*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების გამართულად ფუნქიონირების ხელშეწყობა. | უზრუნველყოფილია სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების გამართულად ფუნქციონირება. | რამდენად გამართულია/ეფექტურია/მოქნილია სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების ფუნქციონირება? | ტექნოლოგიური რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. |

კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების გამართულად ფუნქიონირების ხელშეწყობის მიმართულებით, რათა ტექნიკურმა გამოწვევებმა არ შექმნას საფრთხე ძირითადი პროცესის- ხარისხიანი და საჭიროებებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის განხორციელებისა და შევძლოთ სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევა, აპრობირებული მექანიზმია შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/სტ.ერთეულის მიერ პროცესების მუდმივი დაკვირვება, რაც მოითხოვს პასუხისმგებელი პირის მისაწვდომობას, სკოლის სივრცეში ყოფნას საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე 30 წუთით ადრე.

2024-2025 სასწავლო წელს მეტწილად უზრუნველყოფილი იყო ტექნოლოგიური რესურსების ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა. თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ტექნოლოგიების გაუმართაობამ, ინტერვენციის მოუქნელობამ დააზარალა სასწავლო პროცესის ეფექტურობა. პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ პროცესის ისე შეთანხმება დადგეგმვა, რომ რესურსები იყოს მასწავლებელთათვის მეტად ხელმისაწვდომი და ამავდროულად მასწავლებელს მეტად ეფექტურად და მოქნილად დაეხმაროს ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების ხელშეწყობის მხრივ (დაკავშირება, ქსელის გამართვა და ა.შ). მასწავლებელთა მიერ გამოკითხვაში დაფიქსირებული პასუხებიც ცხადყოფს, რომ სკოლის კომპიუტერული, ქსელური და ციფრული ტექნოლოგიების ფუნქციონირების ხელშეწყობა/ხელმისწავდომობა მეტ ეფექტურობას და მოქნილობას საჭიროებს. გამოკითხვაში მონაწილე მასწავლებელთა ნახევარზე ნაკლები 43 % თვლის, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიური და მატერიალური რესურსები მათთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია და რომ ტექნოლოგიური და მატერიალური რესურსები, ეხმარება ხარისხიანი/ეფექტური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში.







*გრაფიკი: გამოკითხვის შედეგები*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| სკოლის პირადი ქსელის ფუნქციონალის შესწავლა, საჭირობებების ანალიზი. | შესწავლილია სკოლის პირადი ქსელის ფუნქციონალი.<br>გაანალიზებულია მათი სკოლის საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობები. | რამდენად ეფექტურია სკოლის პირადი ქსელის ფუნქციონალის მართვა? | ქსელის შესაძლებლობების რეალიზება. |

სკოლა აქვს საკუთარი სასერვერო მოწყობილობები, Wi-fi სისტემა, რომელიც ფარავს მთლიან შენობას, მაღალი სიჩქარის 40მგბ/წ ინტრნეტი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა. სკოლა IT ტექნოლოგიის კუთხით დაკომპლექტებულია შემდეგი აპარატურით მარშრუტიზატორი : ბრენდი MikroTik - ი L2/L3 ტიპის მართვადი კომუტატორები POE კვების უზრუნველყოფით : ბრენდი DAHUA წვდომის წერტილები (WIFI AP) : ბრენდი GRANDSTREAM სათვალთვალო სისტემა IP ტექნოლოგიით 4 MP : ბრენდი UNV ვიდეო რეგისტრატორი : ბრენდი UNV უწყვეტი კვების წყარო 3KVA ონლაინ UPS - ი.

პროცესებზე დაკვირვება, 2024-2025 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფიქსირებული გამოწვევების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ *საჭიროა სკოლის პირადი ქსელის ფუნქციონალის უკეთ შესწავლა, ანალიზი და ეფექტურად მართვა. რაც მოგვცემს საშუალებას ჩამოყალბდეს IT*

*ინფრასტრუქტურის გამართული სისტემა.* რაც თავის მხრივ იქნება მნიშვნელოვანი ხელშემწყობის სკოლის ინსტიტუციური მდგრადობის, სასწავლო, საგანმანათლებლო ამოცანების გადაჭრის და მოსწავლეთა სოციალიზიის ხელშეწყობის.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| ბიბილოთეკის მენეჯმენტის წარმატებული გამოცდილების შესწავლა. სკოლის სპეციფიკაზე მორგება. | შესწავლილია არანაკლებ 2 ორგანიზაციის წარმატებული გამოცდილება და გაანალიზებულია სკოლის სპეციფიკაზე მორგების შესაძლებლობა | რატომ უნდა განვავითაროთ საბიბლიოთეკო სერვისი? | საბიბლიოთეკო სერვისის განვითარება. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. |

საბიბილიოთეკო სერვისების განვითარება, მისი მაღალი სტანდარტებით განხორციელება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა თაობის მისიის, ხედვის და მიზნების რეალიზებაში. სკოლაში ძირითადი პროცესი არის სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცსის თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვის ერთ-ერთი ხელშემწყობია განვითარებული საბიბლიოთეკო სერვისი. მოსწავლეებს/მაწავლებლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იკვლონ მათთვის საინტერესო სიახლეები, მოიპოვონ ინფორმაცია, ჰქონდეთ ისეთი გარემო სადაც მოახერხებენ გაიაზრონ და დაფიქრდნენ მოპოვებულ ინფორმაციაზე, ერთმანეთს გაუზიარონ ხედვები, მოაწყონ დისკუსია-განხილვები და ა.შ. (სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების ხელშეწყობა). ამ იდეის რეალიზების მიზნით 2024-2025 სასწავლო წელს იგეგმებოდა ბიბილოთეკის მენეჯმენტის წარმატებული გამოცდილების შესწავლა, შემდგომში სკოლის სპეციფიკის/საჭიროებების გათვალისწინებით სკოლა თაობაში დანერგვის დაწყება.

მეორე სემესტრში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუმცა ხელშესახები შედეგები არ გვაქვს, *აღნიშნულ მიმართულებით გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს როგორც ბიბლიოთეკარი ასევე სასკოლო საზოგადოების აქტიური წევრები (მაღალი საფეხურის დაინტერესებული მოსწავლეები და PR მენეჯერი) რომელიც დადებით წვლილს შეიტანდა წარმატებული ორგანიზაციების მოძიება, შესწავლა, სკოლის სპეციფიკაზე მორგების მხრივ.*

*2025-2026 სასწავლო წლისთვის იგეგმება კონკრეტული მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა რათა ბიბილიოთეკის მენეჯერს გაუმარტივდეს პროცესის ადმინისტრირება და ვალიდური მონაცემების მოგროვება. ასე მაგალითად დაგეგმილია აღრიცხვის ჟურნალის გაელექტრონულება და საძიებო სისტემისთვის AI გამოყენების დაწყება.*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| ბიბლიოთეკის ფონდის შევსება მატერიალური და ელექტრონული რესურსებით და მათი სისტემატიზაცია. | შეძენილია 30-დან 50-მდე მატერიალური საბიბლიოთეკო რესურსი და შეგროვებულია 80-დან 100-მდე ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსი. | ფონდის შევსება საბიბლიოთეკო სერვისით მოსარგებლეთა ინტერესების, საჭიროებების შესაბამისად ხორციელდება? | ეფექტური და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბება. |

სკოლა თაობაში ხარისხის განვითარების უზრუნველყოფა გულისხმობს პროცესების ციკლურობას: არსებული სიტუაციის შესახებ ინფორმაციის მოგროვებას, მოგროვებული ინფორმაციის ანალიზს, ანალიზის საფუძველზე პროცესის დაგეგმვას, პროცესის განხორციელებას(დანერგვას), პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, პროცესის რევიზიას/გადასინჯვას და პროცესების შესაბამისად დაგეგმვას. ბიბლიოთეკის მიერ უნდა ტარდებოდეს მოსწავლეთა/მასწავლებელთა და კათედრების ხელმძღვანელთა გამოკითხვები ინტერესების, საჭიროებების შესაბამისად, საგანმანათლებლო რესურსების რელევანტურობის ან ახალი რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე. ეს მონაცემები უნდა ანალიზდებოდეს და საფუძვლად ედებოდეს საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას/შევსებას.

2024 -2025 სასწავლო წელს სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო, დაემატა წიგნები, თუმცა რესურსების მეტად ინტერესების და საჭიროებების მიხედვით მობილიზებისთვის, იგეგმება ზუსტად დადგინდეს რა მოთხოვნაა სკოლაში, ყველაზე ხშირად რი ტიპის და რომელ წიგნებს ითხოვს მოსწავლე, მასწავლებელი. აღნიშნულს 2025-2026 სასწავლო წელს ხელს შეუწყობს *კონკრეტული მეთოდების დანერგვის AI შემოყვანა პროცესში, რაც ბიბილიოთეკის მენეჯერს გაუმარტივებს პროცესის ადმინისტრირებას და უზრუნველყოფს ვალიდური მონაცემების მოგროვებას.*

**ამოცანა: უზრუნველყოფილია პოსტფორდისტული მიდგომა, სკოლა ორიენტირდება მასწავლებლების და სკოლის სხვა პერსონალის შინაგანი მოტივაციის ზრდაზე, ჰორიზონტალურ ურთიერთობებსა და მხარდაჭერაზე.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| მასწავლებელთა ინიციატივების წახალისება. | ხელშეწყობილია მასწავლებელთა ინიციატივების განხორციელება. გაზომილია მასწავლებელთა კმაყოფილების/მიკუთვნებულობის მაჩვენებელი. | აქვს სკოლას ეფექტური წახალისების მექანიზმები? | ავტონომიურობა. შემოქმედებითობა ლიდერობა. |

სკოლაში მიმდინარე რეფორმების წარმატებით განხორციელებაში, საკვანძო მნიშვნელობა აქვს სკოლის შიდა დისტრიბუციული ლიდერობის კონცეფციას, რომელიც სხვადასხვა პოზიციისა და სტატუსის მქონე ადამიანების კვალიფიკაციის აღწერაზე მეტად ყურადღებას ვამახვილებთ სიტუაციურ ასპექტებზე, მათ შემოქმედებითობაზე. ვინაიდან სკოლას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნები, მიზნების შესაბამისი ამოცანები და პრინციპები რომლებსაც აფუძნებს პროცესებს, ლოგიკურია რომ სკოლაში მასწავლებლებს ერთი და იგივე ამოცანები აქვთ დაკისრებული, რაც ხელს უწყობს ტრანსფორმაციული ლიდერების გამოკვეთას. სკოლაში აღიარებული პრაქტიკა ქმნის ვითარებას, რომელშიც სიტუაციური ლიდერები შეიძლება გამოიკვეთონ. სიტუაციური/ ტრანსფორმაციული ლიდერების პოზიცია სკოლაში შეიძლება ოფიციალურად არ იყოს მარკირებული, თუმცა, სწორედ მათი ინტენსიური მონაწილეობით გვინდა მოხდეს სკოლაში სტრატეგიული ხედვების განვითარება, რაც სკოლას რეალურად ძლიერ ავტონომიურ ერთეულად აქცევს.

საკვანძოა, რომ სკოლაში აღიარებული და წახალისებულია ლიდერობა, რომელიც გულისხმობს კოლეგების განვითარებაზე ზრუნვას, მათ მხარდაჭერას. ესე იგი ორიენტირებას ურთიერთდახმარებაზე და არა მასწავლებლებს შორის კონკურენციაზე. 2024-2025 წლის პირველ სემესტრში სკოლაში ჩატარებული გაერთიანებული შეხვედრების მთავარი ამოცანა სწორედ მასწავლებელთა ინიციატივების გამოვლენა/წახალისების ხელშეწყობა იყო. სკოლას აქვს წახალისების მექანიზმი (საბონუსე სქემა), სადაც ბონუსი შესრულებული საქმიანობისთვის სწორედ იმ მასწავლებლებმა მიიღეს ვინც გამოიჩინა ინიციატივა, რომელიც ორიენტირებული იყო კოლეგათა დახმარებაზე, ინტეგირებაზე.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში აღიარებულია ავტონომიურობა, შემოქმედებითობა და დისტრიბუციული ლიდერობა. შესაბამისად ხელშეწყობილია მასწავლებელთა ინიციატივების განხორციელება, მასწავლებელთა მიკუთვნებულობა სკოლისადმი, მათი დაინტერესება სკოლის განვითარებით გაზომილია და მაღალია 90%-ზე მეტი (გამოკითხვის შედეგები).







*გრაფიკი: გამოკითხვის შედეგები*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. | შეგროვებული და გაანალიზებულია მონაცემები მასწავლებელთა/თანამშრომელთა პროფესიულ საჭიროებებზე. შემუშავებულია პროფესიული განვითარების ინდივიდუალური გეგმა. | მასწავლებლის პროფესიულ დახელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობები კავშირშია სკოლის განვითარების სტრატეგიასთან? პროფესიული განვითარება აღიქმება როგორც ყოველდღიური პროცესი? აქვს სასკოლო საზოგადოებას საკმარისი ურთიერთნდობა? | სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება. შინაგანი მოტივაცია VS გარეგანი მოტივაცია; მხარდაჭერა VS დასჯა-წახალისება |

სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მიმართულებით, 2024-2025 სასწავლო წელს დანერგილი მეთოდი იყო: გუნდის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით საერთო ამოცანების გადასაჭრელად <u>ერთობლივად</u> დაგეგმვა სასწავლო პროცესის - ერთობლივად სამუშაო შეხვედრებზე დავალებების, შეფასების კრიტერიუმების შექმნა, საკითხების, რესურსების განსაზღვრა რომლებიც მიემართება ცნებებს და ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას, მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებას და მის თანდათანობით მიყვანას ახალ ცოდნამდე, სწავლის-სწავლაზე სათანადო აქცენტის გაკეთებას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას/ფუნქციური ცოდნის შეძენას და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას, ცოდნათა ორგანიზებას). შეხვედრებზე სამსჯელო საკითხები იყო:

- როგორ უზრუნველვყოთ სასწავლო პროცესში მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურება?
- როგორ უზრუნველვყოთ სასწავლო პროცესში ნაცვლად საგნის, სახელმძღვანელოს და სხვა მსგავსი ორიენტირისა, თითოეული მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება?

სამუშაო შეხვედრებზე ხდებოდა ერთად დაფიქრება და მსჯელობა იმაზე თუ როგორ განვახორციელებთ დაგეგმილ პროცესს. კერძოდ - კურიკულუმის განხორციელებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე - ერთად განისაზღვრებოდა ის გზა, რომლითაც დასახულ ამოცანებს გადავჭრიდით სახელდობრ: საფეხურების მიხედვით ერთი ან ორი შუალედური მიზნის მაგალითზე, დეტალურად აღიწერებოდა პროცესის განხორციელების ეტაპები (რას შევასრულებთ რის შემდეგ და სხვ.) და სტრატეგიები, რომლებსაც გამოვიყენებთ თითოეულ ეტაპზე.

განხორციელების შემდეგ კი ასევე გაერთიანებულ სამუშაო შეხვედრებზე ერთობლივად გაანალიზდებოდა წარმატებები და გამოწვევები. გაზიარდებოდა მონაცემები მოსწავლეთა მიღწევებზე, ასევე გაზიარდებოდა ხელშესახები მიგნებები განხორციელებული - შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების, მეთოდების - ეფექტიანობის შესახებ. რომლის საფუძველზეც განისაზღვრებოდა მასწავლებლის პროფესიული დახელოვნების მიმართულებით განსახორციელებელი შემდგომი (ინდივიდუალური) ინტერვენციები. აღნიშნულს მოსდევდა საჭიროების მიხედვით მასწავლებლებთან ინდივიდუალური შეხვედრები, შესაბამისი რესურსების მიწოდება. გამოწვევის შესაბამისი აქტივობის დაგეგმავში(ორგანიზებაში) ხელშეწყობა.

1.3 ამოცანის ქუდის ქვეშ ასევე იგეგმებოდა - სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფორმის „ქოუჩინგის'' დაგეგმვა, დანერგვა. ურთიერთობის ხელოვნებაზე (ასერტულობა, კონსტრუქციული უკუკავშირი, მე შეტყობინების ძალა....) ტრეინიგის ჩატარება გუნდურ მუშაობაზე (გუნდის როლი ორგანიზაციაში, გუნდის ანატომია....) ტრეინიგის ჩატარება. აღნიშნული აქტივობები სასწავლო წლის განმავლობაში, მასწავლბელთა პროფესიული დახელოვნების ზემოაღნიშნული მეთოდით (სამუშაო შეხვედრების ფორმატი) განხორციელების დროს თვისობრივად იქცა შეხვედრების შემადგენელ ელემენტებად.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება სრულად ეფუძნება სკოლის საგანმანათლებლო ხედვას. ესე იგი მხარდაჭერა ხორციელდება ცნებების პედაგოგიკის და კონსტრუქტივიზმის საგანმანათლებლო პრინციპებში მეტად დახელოვნების მიმართულებით.

2024-2025 სასწავლო წელს გამოიკვეთა ორი საჭიროება ერთი ის, რომ მუშაობის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა კოლეგა-მასწავლებლებთან თანამშრომლობას აქვს (peer-coaching). ამისათვის კი საჭიროა სასკოლო საზოგადოებას ჰქონდეს საკმარისი ურთიერთნდობა დომინანტი უნდა იყოს მხარდაჭერის იდეა ნაცვლად დასჯა-წახალისებისა და შინაგანი მოტივაცია ნაცვლად გარეგანი მოტივაციისა. და მეორე ადამიანთა ის ჯგუფი რომელიც მეტად არის ორინეტირებული კოლეგების/სასკოლო საზოგადოების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაში, რომელსაც აქვს მეტი მზაობა თანამშრომლობის, უნდა მიეცეს მეტი შესაძლებლობა განახორციელოს კონკრეტული აქტივობები.

2025-2026 სასწავლო წლისთვის აღნიშნული გამოწვევების გადაჭრის მიზნით იგეგმება ამ მიმართულებით ახალი კონცეპტუალური დოკუმენტების/პოლიტიკის შექმნა და შემდგომში დანერგვა. (პირობითი სახელი „მასწვლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა), რომელშიც გაწერილი მექანიზმის რეალიზბა, იქნება მთავარი საშუალება სკოლის მთლიანობითი განვითარებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნებისთვის და სკოლაში ტრანფორმაციული ლიდერის კონცეფციის განსავითარებლად.

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა - სამედიცინო დაზღვევის პაკეტით პერსონალის უზრუნველყოფა | სკოლაში მოქმედებს სკოლის პერსონალის სამედიცინო დაზღვევა | რა მექანიზმებით ხორციელდება სკოლაში დაზღვევის საკითხის უზრუნველყოფა | HR პოლიტიკა. პეროსანლის წახალისების მექანიზმი. |
| 2024-2025 სასწავლო წელს (მეორე სემესტრის დროს) სკოლაში დაანონსებული და დაგეგმილი იყო პერსონალის სამედიცინო დაზღვევის პაკეტით უზრეუნველყოფა. აღნიშნული აქტივობის განხორციელების თარიღი გადაიწია და განისაზღვრა 2025 წლის ოქტომბერი. | | | |
| **ამოცანა: უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების მიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, გადაწყვეტილების მიღების მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპის გამოყენებით.** | | | |

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება/უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებასთან. | გაზიარებულია სამოქმედო გეგმის პროექტი სასკოლო საზოგადოებასთან; უკუკავშირის შესაბამისად, საჭიროებისამებრ შესულია ცვლილება გეგმის პროექტში. | როგორ აისახა სამოქმედო გეგმაში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები/პრიორიტეტები? სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობონ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, თუ მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე აქვს? | საზოგადოების პრიორიტეტები. მონაწილეობის კიბე; ჩართულობა; თანამონაწილეობა; გაზიარებული პასუხისმგებლობა. მიკუთვნებულობის (ჩვენ) პარადიგმა. |

2024 წლის ივლისში ხარისხის ჯგუფმა განახორციელა სკოლის თვითსეფასება (სტანდარეტებთან შესაბამისობის დადგენა), ასევე 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანალიზი და შექმნა შესაბამისი ანგარიში. აღნიშნულზე დაყრდნობით ხარისიხის ჯგუფმა 2024 წლის აგვისტოში შეიმუშავა 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი.

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი გამოწვევებისაგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. გვსურს კარგად შევისწავლოთ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები, გამოწვევები და დავეხმაროთ სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. უმნიშვნელოვანესია დაგეგმვის და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, სწორედ ეს იწვევს „ჩვენ" განცდის ფორმულრებას, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაღვივებას. სკოლის საგანამანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელება შეუძლებელი იქნება თუ სასკოლო საზოგადოებას არ ექნება პროცესებისადმი მიკუთვნებულობის და შესაბამისად პასუხისმგებლობის განცდა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად 2024 წლის აგვისტოში გავაზიარეთ გეგმის პროექტი როგორც მშობლებთან/მოსწავლეებთან ასევე მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. ვთხოვეთ საზოგადოებას 5 დღის განმავლობაში გაცნობოდნენ პროეტს, შემდგომი უკუკავშირის მიზნით. რომლის შემდგომი განხილვა საფუძველი იქნებოდა პროექტში საჭიროებისამებრ ცვლილების შეტანისა. მასწავლებლების და სასკოლო საზოგადოების წევრებს ინიციატივა არ ჰქონიათ, საბოლოოდ სამოქმედო გეგმის პროექტი ცვლილების შესვლის გარეშე დამტკიცდა დირექტორის №01-04/9 ბრძანებით. რაც მიუთითებს, ჩართულობის/ინციატივის ნაკლებობაზე. ამის გამომწვევი მიზეზი ნეგატიურთან (ნაკლები ინტერესი) ერთად შეიძლება იყოს პოზიტიურიც (მაღალი ნდობა ხარისხის ჯგუფისადმი). *თუმცა სამომავლოდ მნიშვნელოვანია ჩართულობის ზრდა, მონაწილეობის ხარისხის მატება. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი სანდოობის მიუხედავად, მთავარი მიზანი რაც გულისხმობს „ჩვენ" განცდის ფორმულრებას, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაღვივებას სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით, ვერ რეალიზდება.*

*<u>ამ მიზნით ზაფხულში 2025-2026 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში იგეგმება სამუშო ჯგუფის შექმნა სადაც იქნებიან მაღალი საფეხურის მოსწავლეები, რომლებიც იმუშავებენ სკოლის პროექტების ჩარჩოსა და სტრატეგიული მიზნის სხვადასხვა ამოცანების მიმართულებით აქტივობების დაგეგმვაზე. ასე მეტი მიკუთვნება გაჩნდება საერთო მიზნებისაკენ.</u>*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| 2024-2025 წლების სასკოლო კურიკულუმის პროექტის შემუშავება/გაზიარება/უკუკავშირი სასკოლო საზოგადოებასთან. | კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ და ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; | როგორ აისახა კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები/პრიორიტეტები? სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ | მონაწილეობის კიბე; ჩართულობა; თანამონაწილეობა; გაზიარებული პასუხისმგებლობა. მიკუთვნებულობის (ჩვენ) პარადიგმა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლას აქვს დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმი; | კურიკულუმის შემუშავების პროცესში, თუ მათ ჩართულობას ფორმალური და ფრაგმენტული სახე აქვს? | |

კურიკულუმის განვითარება სკოლის პირველადი პროცესია, რამდენადაც ის მიემართება იმ მთავარ საქმიანობას რისთვისაც სკოლა არსებობს. კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება: კურიკულუმის შემუშავება, კურიკულუმის დანერგვა/განხორციელება, კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება, კურიკულუმის გადასინჯვა/რევიზია. სკოლა ყოველწლიურად განაახლებს კურიკულუმს წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

სკოლის მისიის რეალიზება, მიზნების მიღწევა (მოსწავლეთა პიროვნული განვითარება, სკოლის მდგრადობა) შეუძლებელია თუ კურიკულუმის განვითარებაში არ იქნება ჩართული სასკოლო საზოგადოება (მასწავლებლები/კათედრა, მოსწავლეები/თვითმმართველობა, მშობლები, დირექცია, სკოლის პერსონალი), თითოეულ წევრს აქვს მნიშვნელოვანი და გაზომვადი ფუნქცია რაც პერსპექტივაში უზრუნველყოფს ჩართულობის/მონაწილეობის თანმიმდევრულობასა და კომპლექსურობას, ნაცვლად სპონტანურობისა და ფრაგმენტულობისა.

სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური (არაეფემერული) ჩართულობის უზრუნველსაყოფად, ასევე მოსწავლეთა რეალურ საჭიროებაზე დაფუძნებული კურიკულუმის განსავითარებლად, 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის **შემუშავების** პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა კერძოდ:

- კურიკულუმის შემუშავების პროცესის დაწყება - სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი იწყება წინა წლის კურიკულუმის დანერგვის პარალელურად; მისი (ე.ი. წინა წლის კურიკულუმის) განხორციელების პროცესის მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე;
- კურიკულუმის პროექტის შემუშავება - ამ დროს ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ პოზიციის დაფიქსირება, კათედრებზე მასწვალებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის და საგნობრივი კურიკულუმის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი. სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების (მშობლების, მოსწავლეების) მიერ საკითხთა სპექტრზე საკუთარი მიგნებების, ხედვის, იდეების, დაფიქსირება ( ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიით, პირისპირ შეხვედრით). ხარისხის ჯგუფი ახდენს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოყრას და ანალიზზე დაყრდნობით შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმის პროექტს.
- კურიკულუმის შემუშავებული პროექტის *გაზიარება* - ამ დროს ხდება შემუშავებული პროექტის სასკოლო საზოგადოებაზე გაზიარება (სკოლის ვებ-გვერდზე, ელექტრონული ფოსტით; სოციალური მედიით; საჯარო ღონისძიებებით-საჭიროების შემთხვევაში). სასკოლო საზოგადოებას ეძლევა დრო გაეცნოს კურიკულუმის პროექტს. უკუკავშირის შემთხვევაში შესაძლებელია კურიკულუმის პროექტში ცვლილების შეტანა.
- კურიკულუმის დამტკიცება- პედსაბჭოს შეხვედრა დირექტორის ხელმძღვანელობით, კურიკულუმის საბოლოო განხილვა, დამტკიცება. საჯაროობის უზრუნველყოფა ( განთავსება სკოლის ვებ-გვერდზე, სოციალური ქსელების ჩათებში დაგზავნა, საჯარო ღონისძიებების დროს-მშობელთა კრება და სხვ. გაზიარება).

ქვმოთ ჩარჩო სახით წარმოგიდგენთ კურიკულუმის შემუშავებების პროცესის (მე-3 და მე-4 ეტაპებს) კერძოდ რა პერიოდში და რა თანმიმდევრულობით მოხდა კურიკულუმის გაზიარება/უკუკავშირი/დამტკიცება.

| შემუშავებული კურიკულუმის პროექტის გაზიარება-უკუკავშირი-დამტკიცება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **დოკუმენტი/პროცესი** | **ვისთან ხდება გაზირება ჩართული მხარეები** | **გაზიარების მექანიზმები** | **პერიოდი: აგვისტოს ბოლო ორი კვირა და სექტემბრის პირველი კვირა** | | |
| შემუშავებული კურიკულუმის პროექტის გაზიარება/უკუკავშირი | სასკოლო საზოგადოება (პერსონალი, მშობელი, მოსწავლეები, მასწავლებლები) | სოც.მედია (სკოლის მესენჯერი ჩატები). სკოლის ვებგვერდი. | | | |
| კურიკულუმის დამტკიცება | სასკოლო საზოგადოება( მასწავლებლები), პედსაბჭოს სხდომა. | პედსაბჭოს სხდომა | | | |
| დამტკიცებული კურიკულუმის განთავსება/საჯაროობის უზრუნველყოფა | სასკოლო საზოგადოება (პერსონალი, მშობელი, მოსწავლეები, მასწავლებლები) | სოც.მედია (სკოლის მესენჯერი ჩატები). სკოლის ვებგვერდი, საჯარო ღონისძიებები (მშობელთა კრება...) | | | |

მასწავლებლების და სასკოლო საზოგადოების წევრებს ინიციატივა არ ჰქონიათ, საბოლოოდ სამოქმედო სასკოლო კურიკულუმის პროექტი ცვლილების შესვლის გარეშე დამტკიცდა დირექტორის №01-04/9 ბრძანებით. რაც მიუთითებს, ჩართულობის/ინიციატივის ნაკლებობაზე. ამის გამომწვევი მიზეზი ნეგატიურთან (ნაკლები ინტერესი) ერთად შეიძლება იყოს პოზიტიურიც (მაღალი ნდობა ხარისხის ჯგუფისადმი). თუმცა სამომავლოდ მნიშვნელოვანია ჩართულობის ზრდა, მონაწილეობის ხარისხის მატება. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი სანდოობის მიუხედავად, მთავარი მიზანი რაც გულისხმობს „ჩვენ'' განცდის ფორმულრებას, სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაღვივებას სკოლის შემდგომი განვითარების მიზნით, ვერ რეალიზდება.

*<u>ამ მიზნით ზაფხულში 2025-2026 სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში იგეგმება სამუშო ჯგუფის შექმნა სადაც იქნებიან მაღალი საფეხურის მოსწავლეები, რომლებიც იმუშავებენ სკოლის პროექტების ჩარჩოსა და საგნობრივი კურიკულუმებისთვის (გეოგრაფია, ინგლისური) დავალებების შექმნა, რესურსების მობილიზებაში, ასე მოსწავლეებს მეტი მიკუთვნება გაუჩნდება კურიკულუმისადმი.</u>*

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან. | ჩატარებულია დასწრებით/ონლაინ შეხვედრა მშობლებთან. | საინფორმაციო შეხვედრაში მშობლები აქტიური მონაწილეები არიან თუ პასიური მსმენელები? | სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების (ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები) იდენტიფიცირება. გაზიარება. უკუკავშირი, ანგარიშგება. |

2024-2025 სასწავლო წელს ჩატარებულია დასწრებით/ონლაინ შეხვედრა მშობლებთან. მესენჯერის ჩათებში ვუთანხმდებით მშობლებს კლასის მიხედვით შეხვედრის ფორმატზე (ონალაინ /დასწრებით). პასუხების მიხედვით ვგეგმავდით შეხვედრების ფორმატს. შეხვედრების მიზანი იყო ერთი მხრივ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების (ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები, შესაძლებლობები) იდენტიფიცირება. და მეორე მხრივ სკოლაში საგნების მიხედვით გამოკვეთილი სასწავლო მიზნების, სწავლის სტრატეგიების შესახებ მშობელთა ინფორმირება და ანგარიშგება. ესე იგი მშობელთა კრებებზე მასწავლებლები პრეზენტაციის სახით დისკუსიის ფორმატში წარუდგენდნენ მშობლებს კურიკულუმის დაგეგმვა, განხორციელების და შედეგების შესახებ ინფორმაციას.

შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის პრეზენტაცია, განხილვებზე დაფუძნებული შეხვედრები მეტად ეფექტური აღმოჩნდა, მშობლებს ჰქონდათ შესაძლებლობა ერთი მხრივ უკეთ გაეაზრებინათ სკოლაში სწავლა სწავლების მიზნები და სკოლის მიერ დანერგილი სწავლების პარადიგმა და მეორე მხრივ ასეთი ქუდის ქვეშ წარმართული შეხვედრები მეტად საქმიან და დისკუსიურ სახეს იძენდა, მშობლები უფრო მიზანიმიმართულად აფიქსირებდნენ პროცესებზე თავის პოზიციებს. რადგან მეორე სემესტრში დანერგილი ფორმატი წარმატებულია, სკოლა 2025-2026 სასწავლო წელს აპირებს მშობლეთა კრებები სრულად აღნიშნული კონცეფციით წარმართოს.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა/ინტერვიუ სკოლის პროცესების შესახებ. | გამოკითხულია სასკოლო საზოგადოება სკოლის პროცესების შესახებ;<br>გამოკითვაში მონაწილეობა მიიღო სასკოლო საზოგადოების არანაკლებ 60%-მა. | სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა ატარებს ფორმალურ ხასიათს თუ მიღებული ინფორმაცია გაანალიზებულია და გამოიყენება პრობლემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის? | პროცესების მიზნობრიობის, შესაბამისობის დადგენა. |

2024 -2025 დეკემბერში და მაისში სკოლაში ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რომელიც ემსახურებოდა მმართველობითი, დამხმარე და ძირითადი პროცესების მიზნობრიობის, შესაბამისობის დადგენას. პროცესზე დეტალური და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიღების სურვილით, შეკითხვები დაიყო რამდენიმე ბლოკად: სასწავლო პროცესი; მოსწავლეთა მხარდაჭერა; უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურა; საზოგადოებასთან ურთიერთობა. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზებულია, შედარებულია სხვა მეთოდებით (დოკუმენტაციის შესწავლა, გაკვეთილზე  დასწრება, სოც.ქსელების ანალიზი, დაკვირვება და ა.შ) მოგროვებულ ინფორმაციასთან, იდენტიფიცირებულია გამოწვევები და საბოლოო დასკვნის სახით ასახულია წინამდებარე ანგარიშში. რასაც გამოვიყენებთ 2025-2026 სამოქმედო გეგმის შექმნისას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დასმული შეკითხვები ხარისხი, ურთიერთკავშირი იძლევა შესაძლებლობას ზუსტად დავადგინოთ პროცესთა მიზნობრიობა.

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| პედსაბჭოს შეხვედრების ჩატარება | ჩატარებულია პედსაბჭოს შეხვედრები. რომელის ფარგლებშიც განხილულია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ეფექტურობა, ვალიდურობა. | პედსაბჭოს შეხვედრებს აქვს თანამშრომლობითი შემოქმედებითი, ინტენსიური ხასიათი  თუ მონოტონური, პასიური? | სკოლის საორგანიზაციო კულტურა. |

სკოლის საორგანიზაციო კულტურის ამაღლების, ჩართულობის, მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით 2024-2025 სასწავლო წლის 6 პედსაბჭოს შეხვედრა. პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელსაც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს. განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. ეს პერსპეტივები შესაძლებელია იყოს ნაყოფიერიც და ხელშემშლელიც იმის მიხედვით როგორია სასკოლო კულტურა. თანამშრორმლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწვალეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ პირველ სემესტრში პედსაბჭოს შეხვედრები ნაკლებად იყო შემოქმედებითი, ინტენსიური ხასიათის. ძირითადად შეხვედრები წარიმართებოდა ინფორმირების ფორმატში, როდესაც დირექცია აწვდიდა ინფორმაციას მიმდინარე პროცესებზე/შედეგებზე, ხოლო მასწავლებლები იყვენენ პასიური მსენელების როლში.

მეორე სემესტრიდან კი შეხვედრების ეფექტური ორგანიზებისთვის, იმისათვის, რომ მასწავლებლებს ჰქონდეს საკმარისი დრო მონაცემთა მოგროვების, სამუშაო შეხვედრისთვის მომზადების, ჰქონდეთ საკმარისი დრო საქმიანობის სამივე მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით თანმიმდევრული იდეების, გეგმების გამოკვეთისა, რათა სპონტანური და ზედაპირული მონაწილეობის ნაცვლად, უზრუნველვყოთ რეალური ჩართულობა და საკითხების სიღრმისეული, თანმიმდევრული განხილვა. შეხვედრამდე 3 დღით ადრე, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ იქმნებოდა და სოციალური ქსელების მეშვეობით გაზიარდებოდა ასევე თვალსაჩინო ადგილას განთავსდებოდა დღის წესრიგი. სადაც ჩამოთვლილი იყო საკითხთა სპექტრი რასაც შეეხებოდა მასწავლებელთა ფორუმის გაერთიანებული შეხვედრა/რა კონტექსტშიც გაიმართება შეხვედრაზე მსჯელობა/მიიღება გადაწყვეტილებები.

თითოეულ განსახილველ საკითხს თან ერთვოდა საკვანძო შეკითხვა და საკვანძო იდეა, რაც ერთგვარ მიმართულების მიმცემ ფუნქციას ასრულებდა მონაწილეებისთვის. საკითხთა გამოკვეთა ხდება ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის მიერ - საერთო ამოცანების გადასაჭრელად განსაზღვრული სამოქმედო გეგმის აქტივობების, სასკოლო კურიკულუმის, პროექტების განხორციელების შესახებ- მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით მოგროვებული ინფორმაციის ანალიზით დირექტორთან შეთანხმების შემდეგ.

სასკოლო საზოგადოების წევრს (მასწავლებელს/სხვა თანამშრომელს), ჰქონდათ შესაძლებლობა დღის წესრიგით განსახილველ საკითხებზე, არაუგვიანეს 2 დღით ადრე შეხვედრის ჩატარებამდე (რათა სასკოლო საზოგადოების წევრებს ჰქონდეთ საკმარისი დრო თანმიმდევრული აზრის/ხედვის ჩამოსაყალიბებლად), დაემატებინათ ახალი საკითხი საკვანძო შეკითხვითა და საკვანძო იდეით. აღნიშნული პროცესების გავლის შემდეგ დღის წესრიგმა იღებდა საბოლოო სახეს. ეს პროცესი უზრუნველყოფდა მეტ ჩართულობას, შეხვედრების დისკუსიურ თანამშრომლობით ფორმატში წარმათვას.

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში იგეგმება_ახალი კონცეპტუალური დოკუმენტების/პოლიტიკის შექმნა და შემდგომში დანერგვა. (პირობითი სახელი „მასწვლებელთა თანამშრომლობის პლატფორმა), რომელშიც გაწერილი მექანიზმის რეალიზება, იქნება მთავარი საშუალება სკოლის მთლიანობითი განვითარების და სკოლის კულტურის გაძლიერების ხელშესაწყობად.

| **ამოცანა: სკოლას გააჩნია საზოგადოებაში მაღალი ცნობადობა და დადებითი იმიჯი.** | | | |
|---|---|---|---|
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| სხვადასხვა ორგანიზაციის გამოცდილების შესწავლა PR მიმართულებით.<br>PR სტრატეგიის შემუშავება. | შესწავლილია არანაკლებ 2 ორგანიზაციის წარმატებული გამოცდილება.<br>შემუშავებულია სკოლის PR განვითარების სტრატეგია. | რა კრიტერიუმებით შეირჩა ორგანიზაციები?<br>სკოლას აქვს PR განვითარების სტრატეგია?<br>განვითარების სტრატეგია მიემართება სკოლის მისიას/ხედვას? | წარმატებული პრაქტიკა.<br>განვითარებაზე ორიენტირებულობა<br>განვითარების სტრატეგია |

2024 წლის ივლისში ყოველწლიური თვითშეფასების განხორციელებისას, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის ეტაპზე, ერთი მხრივ გამოიკვეთა სკოლის ძლიერი მხარეები, კერძოდ: განვითარებაზე ორიენტირებულობა - სკოლის უნარი, იკვლიოს საკუთარი მიღწევები, პრობლემები, რისკები; მკაფიოდ გამოკვეთილი გრძელვადიანი მიზნები - მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის რეალიზება სკოლაში. მეორე მხრივ კი ანალიზის ეტაპზე გამოიკვეთა სკოლის სუსტი მხარეები მათ შორის, PR განვითარების არათანმიმდევრული სტრატეგია. სკოლის საფრთხედ კი დადგინდა „განათლების „მარკეტიზაცია'' - სკოლის საქმიანობის განხორციელება იმ პარადიგმაში სადაც მოსწავლე აღიქმება ობიექტად „პროდუქტად“, ხოლო განათლება „სერვისად“;. სკოლის შიდა სუსტი მხარე და გარე საფრთხე ურთიერთდაკავშირებულია.

PR მიმართულების განვითარება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლა თაობის მისიის, ხედვის და მიზნების რეალიზებაში. სკოლა თაობა საგანმანათლებლო საქმიანობას აფუძნებს მოსწავლე სუბიექტის პარადიგმაში, ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ბავშვი არის განვითარების სუბიექტი და PR ფუნქციაც სწორედ ეს არის, რომ ეს პარადიგმა გახდეს საზოგადოებაში აღიარებული და პოპულარული, რათა ამაღლდეს განათლების დონე.

შესაბამისად დადგინდა, რომ პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ წარმატებული ორგანიზაციების გამოცდილება და ამის შემდგომ შევიმუშაოთ სკოლის PR განვითარების სტრატეგია(დეტალურად ქვემოთ). კრიტერიუმი, რომლის გათვალისწინებითაც უნდა დაგვეწყო წარმატებული ორგანიზაციების მოძიება და პრაქტიკის შეწვლა, იყო შემდეგი:ორგანიზაციას უნდა ჰქონდოდა მაღალი ცნობადობა, აუცილებლად რეალურ საქმიაონობაზე დაფუძნებული დადებითი იმიჯი. (ნაკლებად „მარკეტიზებული'').

შესწავავლა იგეგმებოდა 2024-2025 წლის სექტმებერი-ოქტომბრის თვეში, რათა დეკემბრის ბოლომდე, სკოლის სპეციპიკის/საჭიროებების გათვალისწინებით სკოლა თაობაში PR სტრატეგიის შემუშავებულიყო. *სამოქმედო გეგმაში მონიშნული ეს აქტივობა არ განხორციელდა, შევიდა ცვლილება გეგმაში და განხირციელების პერიოდად განისაზღვრა 2025 წლის მარტი-აპრილი. ასევე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა როგორცPR მენეჯერი, ასევე ხარისხის ჯგუფის და თვითმმართველობის წევრები. მეორე სემესტრშიც თანმიმდევრული შესწავლა პროცესი არ განხორციელდა, თუმცა სკოლაში PR მიმართულებით გადაიდგა ხელშესახები დადებითი ნაბიჯები და დაინერგა წარმატებული პრაქტიკა, ასე მაგალითად მენეჯერის ხარისხის ჯგუფის და მაღალი საფეხურის მოსწავლეების ჩართულობით ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები (სოც.ქსელებში მრავალი კონტენტის შექმნა). შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2024-2025 მეორე სემესტრში სკოლაში განხორციელებული აქტივობები იყო საერთო შრომის და თანამშრომლობის შედეგი. ეს კი არის ის წარმატებული პრაქტიკა რაც სკოლის PR მიმართულებით შეიძლება დაინერგოს. სკოლა გეგმავს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შექმნისას მეტად კონკრეტული აქტივობები მონიშნოს სადაც განმხორციელებელი იქნებიან ზემოაღნიშნული სტ.ერთეულები, რაც კიდევ უფრო გაამლიერებს სკოლის საერთო ამოცანების მიღწევას.*

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| სოც. ქსელების ეფექტურობის გაზრდა. | სოციალურ ქსელებში გამომწერთა რაოდენობა გაიზარდა არანაკლებ 10%ით.<br>სკოლაში/სკოლასთან დაკავშირებული აქტივობა/პროექტის შესახებ ინფორამაცია განთავსებულია სკოლის FB გვერდზე არაუგვიანეს 2 დღის განმავლობაში | სკოლა ეფექტურია ცნობადობის ამაღლების მიმართულებით? | კომუნიკაცია, ინფორმირება, ცნობდობა, იმიჯი. |

სკოლის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რომელიც თავის მხრივ გამოიწვევდა მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის პედაგოგიკის პოპულარობას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სოც.ქსელების ეფექტურობის გაზრდა. სკოლის სამოქემდო გეგმაში განისაზღვრა ეს აქტივობა, და ინდიკატორად მიეთითა მინიმუმ 10% ზრდა. მნიშვნელოვანი დათქმაა, რომ ცნობადობის ზრდა აუცილებად უნდა იყოს დადებითი იმიჯით, ესე იგი სკოლამ უნდა გაავრცელოს ინფორმაცია სოც.ქსელებში დროულად/ეფექტურად და სკოლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყოველთვის სანდო და უტყუარი უნდა იყოს.

Facebook გვერდის გამომწერთა რაოდენობა 740 -ით გაიზარდა, რაც სექტემბრიდან ივნისადმე 13% გამოდის. Tiktok-ზე კი დაახლოებით 51% -ით არის გაზრდილი ძველ მონაცემთან შედარებით. Youtube  და Instagram გვერდებზე საჭიროა ცვლილებები, რათა გამომწერთა რაოდენობა გაიზარდოს.

*შეჯამების სახით ვიტყვით, რომ სკოლის სოც.ქსელების ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია სკოლაში ექსტრაკურიკულური აქტივობების რაოდენობასა და ხარისხზე.  ვთვლით, რომ პირიქით ნაცვლად  ფორმალურ-ფუნქციური დანაწილებისა, მნიშვნელოვანია ყველა რგოლი ერთნაირად მონაწილეობდეს ერთიან პროცესებში. იგულისხმება მასწავლებლები/თვითმმართველობა/PR/ხარისხი. შესაძლებელია პროცესში გამოცდილების მქონე მშობლის/მშობლების ჩართვაც.*

*2025-2026 წლისთვის ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სკოლის ტიკ ტოკ  და იუთუბ გვერდების ეფექტურობის ზრდა. ვთვლით, რომ იუთუბისთვის შეიძლება შეიქმნას კონტენტი  პოდკასტები,რაც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა სკოლის დადებითი იმიჯის ზრდას (მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის პოპულარობას). ასევე უნდა განვაგრძოთ მოკლე ვიდეო რგოლების გადაღების ტენდეცია, როდესაც მოსწავლეები ამა თუ იმ მოვლენაზე/ფაქტზე მოკლე ვიდოებს გამოკითხვებს აკეთებდნენ. ეს ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მათ სოციალიზაციას, ფუნქციური უნარების განვითარებას, მეორე მხრივ კი უზრუნველყოფს სოც.ქსელების მუშაობის პერმანენტულობასა და ეფექტურობას.*

**ამოცანა: უზრუნველყოფილია გამართული სასწავლო პროცესი, კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება, ფსიქოლოგიურად, ემოციურად უსაფრთხო გარემო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.**

| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
|---|---|---|---|
| საზოგადოებრივი წესრიგის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა. | დანერგილი/განხორციელებულია საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობის მექანიზმები. | სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას? | პოზიტიური კლიმატი, უსაფრთხოება. ზრუნვა, მხარდაჭერა, პატივისცემა. |

სასკოლო კლიმატის ცნება საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს სასკოლო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. განათლების ექსპერტები ძირითადად საუბრობენ სასკოლო კლიმატის 5 განზომილებიან მოდელზე ( იხ. დიაგრამა#1). ეს განზომილებები მოიცავს **უსაფრთხოებას**, სწავლა სწავლების პროცესს და მის მხარდაჭერას, ინტერპერსონალურ და პროფესიულ ურთიერთობებს, მართვის სტილს, ინსტიტუციურ გარემოს, როგორც ავთენტურ სივრცეს სასკოლო საზოგადოებისათვის.

გამოყოფენ პოზტიური სასკოლო კლიმატის ფაქტორებს, როლებზეც ფოკუსი მნიშვნელოვანია სასკოლო გარემოში: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა. ეს 8 ფაქტორი წარმოადგენს სკოლის პოზიტიური კლიმატის შემუშავების ურთიერთგანპირობებული პროცესების ციკლს (იხ. დიაგრამა#2)

უსაფრთხოება
• წესები და ნორმები
• ფიზიკური უსაფრთხოების განცდა
• სოციალური და ემოციური უსაფრთხოების განცდა
სწავლა და სწავლება
• სწავლის მხარდაჭერა
• სოციალური და სამოქალაქო სწავლება
ინტერპერსონალური ურთიერთობები
• მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა
• სოციალური მხარდაჭერა - სკოლის პერსონალი
• სოციალური მხარდაჭერა - მოსწავლეები
სკოლის პერსონალი
• მართვა/ხელმძღვანელობა
• პროფესიული ურთიერთობები
ინსტიტუციური გარემო
• სკოლისადმი მიკუთვნებულობა / ჩართულობა
• ფიზიკური გარემო
სასკოლო კლიმატი


ზრუნვა
აკადემიური და პიროვნული ზრდა
პატივისცემა
სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა
მაღალი მორალური ღირებულებები
მიკუთვნებულობის განცდა
ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები
ნდომა

2024-2025 წლის ანალიზი გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. სკოლაში არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლას აქვს უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, სადაც გაწერილია უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები. ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ვიდოეთვალთვალის სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოდაკვირვებას. ასევე სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი დაცულია დაცვის დისტანციური სისტემით, რომლის უზრუნველყოფას ახორციელებს შესაბამისი აკრედიტირებული კომპანია. უსაფრთხოებიდან გამომდინარე სკოლას დარეგულირებული აქვს მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების კონტროლი, რათა დროულად მოახდინოს არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და არყოფნის საფუძვლის მოძიება. აღნიშნულს ახორციელებს კლასის დამრიგებლები და დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლა ყავს ექთანი, სკოლის შენობას გავლილი აქვს ექპლუატაცია.

სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერაზე. სკოლის ფსიქოლოგი ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას, საჭიროებების დადგენას და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას.

გამოკითხვები და პროცესზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლსადმი მაღალი ნდობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. მათ აქვთ ფიზიკური, სოციო-ემოციური უსაფრთხოების განცდა.

გამოწვევაა მოსწავლეების მცირე ნაწილში (დაწყებითი საფეხურის ბოლო წლები, საბაზო საფეხურის მოსწავლეების მცირე ნაწილი) უსაფრთხოების ერთ-ერთი კომპონენტის „წესების და ნორმების“ დაცვის მიმართულებით. გამომწვევი მიზეზია ამ მოსწავლეების მხრიდან ფაქტორების: (იხ.დიაგრამა #2) აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა და ზრუნვა- არ არსებობა/ნაკლებობა. ეს თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ სასკოლო საზოგადოება სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსწვალის პიროვნულ ზრდაზე მიმართულ აქტივობებს. (იხ მესამე მიმართულების აღწერისას). მნიშვნელოვანია სკოლაში დაინერგოს პოზიტიური დისციპლინირების პოლიტიკა, რაც გულისხმობს ურთიერთობების აღდგენითი მიდგომით რეგულირებას.

სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის პასუხებიც ცხადყოფს, რომ სასკოლო საზოგადოებას მეტწილად აქვს უსაფრთხოების განცდა სკოლაში. იციან უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

1. სკოლაში უზრუნველყოფილია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო, სადაც გეძლევათ აზრის გამოხატვის შეს...ურთიერთობები, მიიღება განსხვავებული აზრი)
40 responses




1. სკოლაში უზრუნველყოფილია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო, არის ურთიერპატივისცემაზე აგებული ურთიერთობები, მიიღება განსხვავებული აზრი
14 responses



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოსწავლეების 90 % თვლის, რომ სრულად ან მეტწილად უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო სადაც აქვთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, მხოლოდ 5% თვლის რომ ნაწილობრივ. მასწავლებლები კი ნაკლებად არიან კმაყოფილი ამ მიმართულებით, კერძოდ მათი 78 % თვლის რომ სრულად ან მეტწილად უზრუნველყოფილია უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო სადაც აქვთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა და 22 % თვლის რომ ნაწილობრივ.







როგორც დიაგრამიდან ჩანს, მოსწავლეების 95 % იცის მისი უფლებების და დადგენილი წესების შესახებ, მხოლოდ 5% თვლის რომ არასაკმარისად. მასწავლებლების 85 % თვლის რომ იცის მისი უფლებების და დადგენილი წესების შესახებ და 15 % თვლის რომ არასაკმარისად.






*შეკითხვებზე, რომელიც შეეხებოდა სტერეოტიპებს, დისკრიმინაციას და ძალადობას, მოსწავლეების 37% თვლის რომ სკოლაში არის სტრეოტიპები, მათ შორის სოცუალურ მდგომარეობაზე, სქესზე, რელიგიასა და წარმოშობაზე. მოსწავლეების 35% თვლის რომ არის სკოლაში დისკრიმინაციის შემთხვევები აქ მეტი აქცენტია სქესზე. მოსწავლეების 5% თვლის რომ სკოლაში არის ბულინგის შემთხვევები.*

*აღნიშნული მონაცემების საფუძველზე და ზოგადი დაკვირვების შედეგად, მეორე სემესტრში დაიგეგმა და განხორციელდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის აქტივობების სერია, სადაც მთავარ რესურსად (კონტექსტად) გამოყენებული იყო სერიალი „მოზარდობა" ერთობლივად ნახვა და შემდგომი დისკუსია სერიალში წამოჭრილ იმ საკითხებზე რაც ასევე მიემართება სკოლაში არსებულ ფრაგმენტულ თუმცა მაინც არსებულ გამოწვევებს. აღნიშნულ აქტივობებს ჰქონდა მოლოდინის შესაბამისი დადებითი ეფექტი.*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა. | დანერგილი/განხორციელებულია ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობის მექანიმზები. | სკოლას აქვს ინფრასტურქურაზე მორგებული, ეფექტური დასუფთავების მექანიზმი? | ფიზიკური გარემო. |

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები მეტწილად დაცულია, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზეც. სკოლას აქვს დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლის დამლაგებლები მუდმივად ახორციელებენ სკოლის მთლიანი პერიმეტრის დალაგებას, ზედაპირების წმენდას და სველი წერტილების მოწესრიგებას სათანადო. შ ჩვენი დაკვირვება, გამოკითხვის შედეგები და ზოგადი სურათი იძლევა თქმის საფუძველს, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი მეტწილად დამაკმაყოფილებელია.







*გრაფიკი: 2024 -2025 გამოკითხვის შედეგები*

| აქტივობა | ინდიკატორი | საკვანძო შეკითხვა | საკვანძო იდეა |
|---|---|---|---|
| სასწავლო პროცესის ორგანიზების ხელშეწყობა. | დანერგილია სასწავლო პროცესის ორგანიზების ხელშემწყობი მექანიზმები. | სასაწავლო პროცესის სტრუქტუირება და ორგანიზება, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას? | მოქნილობა. |

| | | | |
|---|---|---|---|
| მნიშვნელოვანია სასაწავლო პროცესის სტრუქტურირებამ და ორგანიზებამ, ხელი შეუწყოს სწავლა-სწავლების მიზნების მიღწევას. პირველი სემესტრის ანალიზი გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ჩატარება. უზრუნველყოფილია გამართული სასკოლო საათობრივი ბადე; ელექტრონული ჟურნალის მართვა, ნიშნების, გაცდენების, შემაჯამებლები, კომენტარების.... დროულად შეყვანის მონიტორინგი, გაკვეთილების რეჟიმის დაცვა, მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი/აღრიცხვა, სასწავლო პროცესის რეგულირება (გაკვეთილების შეცვლა-გადაადგილება). აღსანიშნავია, რომ schoolbook-ის პლატფორმა სასწავლო პროცესის ორგანიზებას მნიშვნელოვად ამარტივებს და მოქნილს ხდის. წინა წლებთან შედარებით, როდესაც მოსწავლეებს/მშობლებს ინფორმაციას დავალებების, რესურსების, შესრულების თარიღის შესახებ ვაწვდიდით სხვა მეთოდით და პასუხისმგებლობა იყო რამდენიმე ადამიანზე. schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა სწრაფადვე თვითონ შეიყვანოს ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს მეტ ვალიდურობას და სანდოობას. | | | |
| **აქტივობა** | **ინდიკატორი** | **საკვანძო შეკითხვა** | **საკვანძო იდეა** |
| მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისი საქმისწარმოება. | დანერგილი/განხორციელებულია მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისი საქმისწარმოება. | სკოლაში ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება? | დროულობა. |
| 2024-2025 სასწავლო წელს სკოლაში სრულად ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოება. დაცულია დროულობის პრინციპი. სასწავლო წლის დასაწყისში შეიქმნა საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. | | | |

**დანართი ტერმინთა განმარტებები**

| **ტერმინი** | **ტერმინის განმარტება** |
|---|---|
| მისია | მისია არის მოკლე, ძირითადად რამდენიმე წინადადებისგან შედგენილი განაცხადი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ ანუ ძირითად დანიშნულებას. |
| ხედვა | ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები, ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. |
| ღირებულებები | ღირებულებები არის ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინებითაც მოქმედებს დაწესებულება. |
| სტრატეგიული გეგმა | დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების პრიორიტეტებს, **მიზნებსა და ამოცანებს** იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად. სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიის და ხედვის რეალიზების გზას. |
| სამოქმედო გეგმა | დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ **აქტივობებს,** მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებს, შესრულების ვადებს, რესურსებს. |
| მიზანი | ზოგადი ტიპის განაცხადი, რომელიც ასახავს სკოლის გრძელვადიან მისაღწევ შედეგს. |
| ამოცანა | ვიწრო ასპექტის განაცხადი, სკოლის საქმიანობის კონკრეტული მიმართულებისთვის, რომელიც პრობლემის გამომწვევ ფაქტორს უკავშირდება და რომელიც საშუალოვადიან პერიოდში მიისწრაფის მიზნის მიღწევისკენ; |
| აქტივობა | კონკრეტული ქმედებები, რომელსაც სკოლა ახორციელებს მიზენის და ამოცანების მისაღწევად. |
| ინდიკატორი | ინდიკატორი არის საშუალება, რომლითაც იზომება მიზნების, ამოცანების, აქტივობების მიღწევა და ღონისძიებების განხორციელება. |

| | |
|---|---|
| რისკები | ამ შემთხვევაში ნეგატიური შედეგების შესაძლებლობა. რისკები შეიძლება იყო როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე დამოკიდებული, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს პროგრესი და მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას მიზნების, ამოცანების, აქტივობების განხორციელების კონკრეტულ ასპექტებს. |
| მონიტორინგი | პროცესი, რომლის ფარგლებში მოწმდება ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულება, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა. |
| შეფასება | შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა/ანალიზი და შესაძლო გავლენის დადგენა. |

თორნიკე ზაქარაძე _____

ირაკლი მიქელაძე _____

ნინო დევაძე _____